ვერსია

№26 (1616) 6 — 12 ივლისი ოთხშაბათი 2022 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

რის გამო დაჯდება ეშმაკთან მოლაპარაკებაზე გიორგი ფხაკაძე

„ახლა ვართ ჯოგური იმუნიტეტის გამომუშავების პროცესში, რომელიც გვიცავს ხუთი თვე“

რატომ ჩააფლავეს მაქარაშვილ-დიღმელაშვილმა 3 ივლისი

ლაშა ბუღაძის აღიარება: „ტაქტიკურად, რაღაც, შეიძლება, დღეს არ გამოვიდეს, ხვალ გამოვიდეს, ზაფხულის პერიოდია“

„ხელისუფლებასა და ოპოზიციის დიდ ნაწილში პოლიტიკური ანაქრონიზმია“

ლელა ჯეჯელავას თვალით დანახული 3 ივლისი

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

ევროკავშირის რა რეგულაციები შევასრულეთ და რა დაგვრჩა შესასრულებელი

ეკა სეფაშვილი: „დეპოლარიზაციისკენ ნაბიჯების გადადგმა კი არა, პირველივე წუთიდან, როგორც კი პრემიერმა ახსენა, ევროპული პერსპექტივა მოგვენიჭაო, წივილ-კივილი და მუშტების ბრახუნი ატყდა“

პოლიციამ მარნეულში მომხდარი მკვლელობა გახნა – დაკავებულია ერთი პირი



შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით, 2000 წელს დაბადებული, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევი ფ.დ. დააკავეს.

დანაშაული 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 3 ივლისს, ქ. მარნეულში, ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენჯერმე გასროლით ჭრილობები მიაყენა 1976 წელს დაბადებულ ვ.ო.-ს.

მიყენებული დაზიანებების შედეგად, ვ.ო. სამედიცინო დაწესებულებაში გარდაიცვალა.

სამართალდამცავებმა, ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, დანაშაულის სავარაუდო ჩამდენი პირი, მომხდარიდან მეორე დღეს დააკავეს.

დანაშაულის ჩადენის იარაღი ნივთმტკიცებადაა ამოღებული.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე და 236-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობასა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა– ტარებას გულისხმობს.

თბილისის საპატრულო პოლიციის ავტოპარკი 89 ავტომობილით განახლდა

შინაგან საქმეთა სამინისტროში საპოლიციო ინფრასტრუქტურის განახლების პროცესი გრძელდება – თბილისის საპატრულო პოლიციას „შკოდას“ მარკის, სედანის ტიპის 89 ავტომანქანა გადაეცა.

ახალი ავტომობილები განკუთვნილია თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს სახაზო სამმართველოსთვის. საპატრულო მანქანების ავტოპარკის განახლება ხელს შეუწყობს მომხდარ დანაშაულზე პატრულ-ინსპექტორების დროულ და ეფექტიან რეაგირებას, ასევე, დანაშაულის პრევენციას.

შინაგან საქმეთა სამინისტრო თავის ავტოპარკს რეგულარულად ანახლებს. გასულ წელს, პოლიციის დანაყოფების ავტოპარკი 700-მდე ახალი ავტომობილით განახლდა, ხოლო გასულ თვეში, ბათუმში, ქობულეთსა და რუსთავში, თანამედროვე საპოლიციო ტრანსპორტით სრულად ჩანაცვლდა საპატრულო პოლიციის ავტომანქანები.

საპოლიციო ინფრასტრუქტურის განახლების მიზანია, პოლიციელთა საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება და მათი სამუშაო პირობების გაუმჯობესება. სამინისტრო მომავალშიც გააგრძელებს საპოლიციო ინფრასტრუქტურისა და აღჭურვილობის განახლება-გაუმჯობესების პროექტებს.

ვახტანგ გომელაური საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩსა და საელჩოს დამოუკიდებლობის დღეს ულოცავს



საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი
MINISTER OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების
საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს
ბის აღმატებულება ქალბატონ **კელი დეანნს**

ძვირფასო ელჩო,

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პირადად ჩემი სახელით, გამოვხატავ ღრმა პატივისცემას თქვენსა და საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიმართ.

ნება მომეცით გულითადად მოგილოცოთ დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღების 246-ე წლისთავი, ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული დღე ამერიკის შეერთებული შტატებისა და ამერიკელი ხალხისთვის. მსურს გისურვოთ კეთილდღეობა და წარმატება ყველა წამოწყებაში.

ვფარგლობ რა შემთხვევით, მინდა მადლობა გადავუხადო საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან მრავალწლიანი პარტნიორობისა და ფასდაუდებელი მხარდაჭერისთვის. ჩვენ მეტად ვფასებთ შეერთებულ შტატებთან, როგორც უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ მოკავშირესთან ჩამოყალიბებულ მტკიცე და ნაყოფიერ თანამშრომლობას.

პატივისცემით,

ვახტანგ გომელაური
მინისტრის გენერალ-ლეიტენანტი

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა აშშ-ის დამოუკიდებლობის დღე – 4 ივლისი, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს, კელი დეგნანსა და საელჩოს მიულოცა.

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პირადად ჩემი სახელით, გამოვხატავ ღრმა პატივისცემას თქვენსა და საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიმართ.

ნება მომეცით, გულითადად მოგილოცოთ დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღების 246-ე წლისთავი – ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული დღე, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ამერიკელი ხალხისთვის. მსურს, გისურვოთ კეთილდღეობა და წარმატებები ყველა წამოწყებაში.

მინდა, მადლობა გადავუხადო საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან მრავალწლიანი პარტნიორობისა და ფასდაუდებელი მხარდაჭერისთვის. ჩვენ მეტად ვაფასებთ შეერთებული შტატებთან, როგორც უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ მოკავშირესთან ჩამოყალიბებულ მტკიცე და ნაყოფიერ თანამშრომლობას“, – აღნიშნულია ვახტანგ გომელაურის მიერ, აშშ-ს ელჩისადმი გაგზავნილ წერილში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს კამპანიის – „ნუ წაართმევ ბავშვობას“ დასკვნითი ღონისძიება გაიმართა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბავშვობის ასაკში ქორწინების წინააღმდეგ მიმართული კამპანიის – „ნუ წაართმევ ბავშვობას“ დასკვნითი ღონისძიება გამართა. ღონისძიება შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის, ალექსანდრე დარახველიძისა და გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელის, ლელა ბაქრაძის მისასალმებელი სიტყვებით გაიხსნა.

კამპანიის დასკვნით ღონისძიებაზე მიწვეულნი იყვნენ სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, სადაც შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ წარდგენილ იქნა პრეზენტაცია. ღონისძიებაზე მოწვეულ სტუმრებს მიეწოდათ ინფორმაცია ყველა იმ აქტივობის შესახებ, რაც შინაგან საქმეთა სამინისტრომ კამპანიის ფარგლებში განახორციელა.

დასკვნით ღონისძიებაზე გამოვლინდნენ კამპანიის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსის გამარჯვებულები, რომელთაც შესაბამისი ჯილდოები გადაეცათ.

კამპანია „ნუ წაართმევ ბავშვობას“ გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისთან თანამშრომლობით, ბავშვობის ასაკში ქორწინების აღმოფხვრის, ამ საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და სამართალდამცავებისთვის დროული შეტყობინების მიზნით განხორციელდა.

საინფორმაციო კამპანია 1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს დაიწყო და ერთი თვის განმავლობაში გაგრძელდა. კამპანიის ფარგლებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ადგილობრივი საპოლიციო დანაყოფების წარმომადგენლებთან, ასევე, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებთან ერთად, თემატური შეხვედრები გამართეს საქართველოს შვიდ რეგიონში.

კამპანიის ფარგლებში მომზადდა საინფორმაციო ვიდეო რგოლები, გამოცხადდა ნახატების კონკურსი, ასევე, დამზადდა ბრენდირებული საჩუქრები, რომლებიც შეხვედრების მონაწილეებსა და სხვადასხვა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოქალაქეებს დაურიგდათ.

კამპანიის მიმდინარეობისას, ბავშვობის ასაკში ქორწინების დანაშაულებთან დაკავშირებით, პოლიციისათვის შეტყობინების გზების შესახებ მოსახლეობის მასობრივი ინფორმირება განხორციელდა SMS-სისტემის გამოყენებით.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ კამპანია – „ნუ წაართმევ ბავშვობას“ განახორციელა გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისთან პარტნიორობით, გაეროს ერთობლივი პროგრამის – „გენდერული თანასწორობისთვის“ ფარგლებში, რომელიც შვედეთის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

რატომ ჩააფლავეს მაქარაშვილ-დიღმელაშვილმა 3 ივლისი

ნინო დოლიძე

კრება ისევ მხიარული დარჩა ან შეიძლება სხვანაირადაც, ესე იგი, ისე ვთქვათ, როგორც ერთ შესანიშნავ ქართულ ნაწარმოებშია: – „ახლა, გინდა, შაიტანეთ და გინდა გამაიტანეთ, ეგ თქვენი, რუმბივით გაგორებული ფალავანი“. ჰო, ზუსტად ასეა, მიუხედავად იმისა, რომ ქუჩაში ათი ათასობით ის ადამიანი გამოვიდა, რომელიც საქართველოს მომავალს ევროპაში ხედავს, პროდასავლური იმიჯის „სირცხვილიამ“ ისე დაშალა, როგორც ხარშვის დროს, ხინკალი იშლება ხოლმე.

ლაშა ბუღაძის აღიარება: „ტაქტიკურად, რაღაც, შეიძლება, დღეს არ გამოვიდეს, ხვალ გამოვიდეს, ზაფხულის პერიოდია“

ხინკალი იქით იყოს და, მართლაც, საინტერესოა, რა უნდოდა „სორცხვილიას“ ან რას დააპროწიალებდა ამ გულანთებულ პატრიოტებს თბილისის ქუჩებში? ახლა, რა თქმა უნდა, ხელაღებით ვერ ვიტყვით, რომ ზემოხსენებული არასამთავრობო, რომლის გული, სული და ხერხემალიც მაქარაშვილ-დიღმელაშვილის დუეტია, ვინმეს წინასწარ გაურიგდა, მაგრამ იგივე სოციალურ ქსელში, ამ თემაზე ბევრს წერენ და ზოგი იმასაც კი პირდაპირ ამბობს, რომ ორივე „ტიპი“ ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს. სხვათა შორის, ზოგის ფანტაზია უფრო შორსაც მიდის და ეჭვობს, რომ პროდასავლური მიტინგები ორგანიზატორებმა, შესაძლოა, რუსული ან ისეთი ფულით დააფინანსეს, რომლის კვალიც, პირდაპირ თუ ირიბად, ჩრდილოეთამდე მიდის.

ზოგადად, ენას ძვალი არ აქვს და შესაბამისად, ყველაფრის თქმა შეუძლია, მაგრამ 3 ივლისის აქციის ჩაფლავებამ უკრაინაში მებრძოლი ქართველებიც აღაშფოთა და ერთ-ერთმა მათგანმა, ვანო ნადირაძემ „სირცხვილიას“ ზემოხსენებულ დუეტს სოციალური ქსელით არცთუ კორექტულად მიმართა.

„დიღმელაშვილი, შენ დედას... ამდენი ხალხის გაწბილებისთვის!!!

თქვე ნაბოზრებო, ეს რა ქენით – დღევანდელი დღე გარდატეხის დღე უნდა ყოფილყო!

მაქარაშვილი, უკრაინაში ჩამოხვალ, დანარჩენს აქ დაგელაპარაკები, რახან დიღმელაშვილს ვერ ვწვდები, რომ წკეპლით ვცემო“, – დაწერა ვანო ნადირაძემ.

სხვათა შორის, გიგა მაქარაშვილს ისიც გაუხსენეს, რომ თავის დროზე, რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენის, მინდია გულუას პრესსამსახურის ხელმძღვანელი იყო. აღსანიშნავია, რომ გულუასთან თანამშრომლობას არც თავად მაქარაშვილი უარყოფს, თუმცა ბიზნესმენის პრორუსულობას ეჭვქვეშ აყენებს, ამასთან, განმარტავს, რომ მის იდეოლოგიურ სამსახურს კი არ ხელმძღვანელობდა, არამედ, ასისტენტი იყო.

„მინდია გულუა პრორუსია?“ – ასე უპასუხა მაქარაშვილმა „ტელეიმედის“ მიერ დასმულ კითხვას, თუ რა უნდოდა პრორუს ბიზნესმენთან.

კარგი, დავუშვათ, რომ გულუა პრორუსი ბიზნესმენი არ არის და ამ მხრივ, მაქარაშვილს სუფთა წარსული აქვს, მაგრამ რა მოხდა 3 ივლისს? თავდაპირველად, ალბათ, ყველას ახსოვს, აქციის ორგანიზატორები ამბობდნენ, რომ ჰქონდათ გეგმა, რომლითაც იმოქმედებდნენ. აქციის რიგით წევრებს გულწრფელად სჯეროდათ, რომ გეგმა მართლა არსებობდა, მაგრამ როგორც ბოლოს გაირკვა, გეგმა მხოლოდ ის იყო, რომ პარლამენტის წინ შეკრებილ ხალხს, რომელიც ღამის გათევას ქუჩაში გადაწყვეტდა, დილამდე ფილმებისთვის უნდა ეყურებინა და მუსიკა მოესმინა ანუ ტრიბუნაზე არ იქნებოდნენ გამომსვლელები. მიტინგი კი გამომსვლელების გარეშე ზუსტად ისეთივეა, როგორც მაგალითად, აჯაფსანდალი ბადრიჯნის, პომიდვრისა და თუნდაც ბულგარული წიწაკის გარეშე.

სიტყვამ მოიტანა და, ჩვენი პოლიტიკა, მით უფრო, ოპოზიცია აჯაფსანდალს მართლა ჰგავს, ეშმაკიც ვერ გაიგებს, ვინ რა თამაშს თამაშობს და ვის რა ინტერესი ამოძრავებს. ერთადერთი ნათელი მარტო ის არის, რომ ოპოზიციონერთა უმრავლესობას მაინცდამაინც არ უნდა, მიხეილ სააკაშვილმა ციხეს თავი რომ დააღწიოს.

ახლა, სხვა საქმეა, მიშა დამნაშავეა თუ არა, ან ვინმეს მოგვწონს თუ არა, მაგრამ ფაქტია – ამ ადამიანს მუხტის აწევა შეუძლია. შესაბამისად, ყველა ოპოზიციონერმა, რომელსაც პრეტენზია ლიდერობაზე აქვს, ზედმიწევნით კარგად იცის, რომ მიშას „სვაბოდაზე“ გამოსვლის შემთხვევაში, მისი, როგორც ქარიზმატული ლიდერის მითი გაქარწყლდება და ექსპრეზიდენტი პროცესების მართვის სადავეებთან აღმოჩნდება.

სხვათა შორის, „ვერსია“ რამდენიმე ხნის წინ, იმის შესახებაც წერდა, რომ თავისუფლებაზე მყოფი სააკაშვილი იგივე დასავლეთსაც არ აძლევს ხელს.

რატომ? – იმიტომ, რომ სააკაშვილის მართვა, ყველამ კარგად იცის, რომ ადვილი არ არის ანუ შესაძლოა, რაღაც პირობა დადოს, მაგრამ ბოლო წუთს ისე მოიქცევა, როგორც მოეპრიანება. შესაბამისად, როგორც „ვერსია“ წყაროებზე დაყრდნობით წერდა, ევროპისთვის მისაღებია, რომ ექსპრეზიდენტმა პოლიტიკაზე საერთოდ უარი თქვას, თუმცა მიშა პოლიტიკის გარეშე წარმოუდგენელია. ამიტომაც, ზემოხსენებულ „ულტიმატუმს“, ალბათ, არ მიიღებს.

ამასობაში კი, ბოლო მიტინგებმაც აჩვენა, რომ მიშა ქართული პოლიტიკური სპექტრისთვის „ზედმეტია“. ყოველ შემთხვევაში, არც ერთ დემონსტრაციაზე სააკაშვილი და იგივე გვარამია არავის უხსენებია. უფრო სწორად, ახსენეს, მაგრამ აი, იმ „პონტში“, გემრიელ სუფრაზე, ჯონჯოლსაც რომ მიიტანენ ხოლმე. ენმ-ს აქტივისტების აღშფოთება, როგორც ირკვევა, სწორედ ამან გამოიწვია.

სხვათა შორის, თუ დააკვირდით, 3 ივლისის მიტინგზე, მინი-მიტინგები „გაიჩითა“ ანუ ენმ-ს მომხრეები დამოუკიდებელ ნარატივს ატარებდნენ და სკანდირებდნენ, თავისუფლება მიშას და ნიკასო. აკი, დიდი მიტინგის წამყვანმა, ლაშა ბუღაძემ გაოცება ვეღარ დამალა და ტრიბუნაზე, მიკროფონშიც თქვა, მიტინგზე პატარა მიტინგები, ალბათ, ქართული ნოუ-ჰაუაო.

ერთი სიტყვით, „სირცხვილია“-ს გულზე მჯიღის ცემა, 3 ივლისს, ამას და იმას ვიზამო, ჩვეულებრივი ბაქი-ბუქი აღმოჩნდა და მაქარაშვილ-დიღმელაშვილის დუეტიც ოპოზიციურად განწყობილი ელექტორატისთვის დასაყრდენს აღარ წარმოადგენს. ამას, შესაძლოა, თავადაც ხვდებიან. ყოველ შემთხვევაში, ლაშა ბუღაძემ გულწრფელად აღიარა, რომ ყველაფერი ისე არ მოხდა, როგორც უნდა მომხდარიყო.

„მე მგონი, ახლა ეს სურათია – მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება, სხვა აღქმა გვქონდა, ტაქტიკური თვალსაზრისით და სხვა გამოვიდა. ემპირიული და თეორიული არის სხვადასხვა რამ, ხოლმე. საბოლოო ჯამში, ჩვენი სულისკვეთება არის უცვლელი – ოლიგარქის გარეშე საქართველო, რომელიც უნდა შევიდეს ევროკავშირში... დღესაც განწყობების კონტრასტულობა ჩანდა. ზოგი უფრო ტემპერამენტულია, ზოგი უფრო ფრთხილი, ზოგი უფრო რაციონალური, ზოგი უფრო მომენტის... მე, საერთოდ, ორიენტირებული ვარ, რომ ყველა პროცესი დაექვემდებაროს ანალიზს, მაგრამ მე არ ვგრძნობ თავს ფლუსტრაციაში, ნამდვილად არა ვარ. უბრალოდ, ეს რთული პროცესია. ტაქტიკურად, რაღაც შეიძლება, დღეს არ გამოვიდეს, ხვალ გამოვიდეს, ზაფხულის პერიოდია, მაგრამ გვაქვს დრო მობილიზების“, – თქვა ბუღაძემ.

ჰო, ახლა ზაფხულია და რა დროს ევროპა და „შინ, ევროპისკენაა“, როცა ზღვის სანაპიროები უხმობენ „ოპოებს“.

ეჰ, ბედკრულო საქართველოვ, შენს თავს, შენ თავად უნდა მიხედო, თორემ ამათი შემყურე, მართლაც სულ სირცხვილში იქნები!

ევროკავშირის რა რეგულაციები შევასრულეთ და რა დაგვრჩა შესასრულებელი

ეკა სეფაშვილი: „დეპოლარიზაციისკენ ნაბიჯების გადადგმა კი არა, პირველივე წუთიდან, როგორც კი პრემიერმა ახსენა, ევროპული პერსპექტივა მოგვენიჭაო, წივილ-კივილი და მუშტების ბრახუნი ატყდა“

მაკა რუხაძე

ამბობს, რომ ევროპარლამენტარების 17 ივნისისა და ევროკომისიის 24 ივნისის დასკვნები, რომლითაც ე.წ. ასოცირებული ტრიოს ქვეყნებიდან საქართველოს – ევროკავშირის პერსპექტივა, ხოლო უკრაინასა და მოლდოვას – ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიანიჭეს, პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო. როგორც საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალისტი, წლების განმავლობაში, უშუალოდ იყო ჩართული საქართველოს ევროსტრუქტურებთან ინტეგრაციის საკითხებში. მეტიც, 2014 წლის 27 ივნისს, როდესაც საქართველოსა და ევროკავშირს შორის, ხელი მოეწერა ასოცირების, ასევე ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებას, სახელმწიფო მინისტრის მოადგილის პოზიციიდან, ევროკავშირთან მომლაპარაკებელთა ჯგუფის წევრი გახლდათ. საქართველოს პარლამენტის წევრი, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ეკა სეფაშვილი „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში აჯამებს ევროკავშირის ყველა რეკომენდაციასა თუ მითითებას, რაც საქართველომ დღემდე შეასრულა და რაც ჯერ კიდევ შესასრულებელია, თუმცა საუბარს ევროკომისიის გადაწყვეტილების განხილვით ვიწყებთ.

– ქალბატონო ეკა, რას ნიშნავს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი უკრაინასა და მოლდოვასთვის, ხოლო ევროპული პერსპექტივა – საქართველოსთვის?

– თავისთავად ცხადია, რომ ეს პოლიტიკური გადაწყვეტილებაა. ეს არ არის ეგრეთ წოდებული ტექნიკური ან ტექნოკრატიული გადაწყვეტილება, რომელიც დაეფუძნებოდა კრიტერიუმებს, თუ როგორ ვასრულებთ ასოცირების შეთანხმებაში გაწერილ ვალდებულებებს. გიმეორებთ, პოლიტიკური გადაწყვეტილებაა და ევროპის ლიდერებმა, კერძოდ, საფრანგეთის პრეზიდენტმა, ემანუელ მაკრონმა განაცხადა, რომ უკრაინისა და მოლდოვას შემთხვევაში, ეს ცოტა უფრო განსხვავებული გადაწყვეტილებაა, რადგან ევროპის ქვეყნებმა ამით ერთგვარი პოლიტიკური ჟესტი -მტკიცე სოლიდარობა დააფიქსირეს იმ მოვლენების მიმართ, რაც უკრაინაში ხდება, ხოლო მოლდოვასთან, როგორც უკრაინის მომიჯნავე ქვეყანასთან მიმართებაში, სადაც დიდია დესტაბილიზაციის საფრთხე, ასევე მტკიცე სოლიდარობა გამოხატეს. ამ ჭრილში თუ შევხედავთ, შესაძლოა, დადებითი ელემენტებიც კი დავინახოთ ევროკომისიის ამ გადაწყვეტილებაში, რადგან ჩვენს შემთხვევაში, ისინი დესტაბილიზაციის საფრთხეს ვერ ხედავენ. ამიტომ ცოტა განგვასხვავეს და წინაპირობები გაგვიწერეს, თუ ამ პირობებს შეასრულებთ, ავტომატურად მოგვენიჭება სტატუსი.

ევროპული პერსპექტივის გახსნა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან საქართველო, მოლდოვა და უკრაინა აუცილებლად გახდებიან ევროკავშირის წევრები, ოღონდ მოგვიწევს არა მარტო ამ წინაპირობის დაკმაყოფილება, რაც ახლა გაგვიწერეს სამივე ქვეყანას, არამედ, ასოცირების შეთანხმებაში გაწერილი პირობებისა და გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების დროს, გარკვეული პროცედურების შესრულებაც, რათა დავაკმაყოფილოთ ყოველნაირი სტანდარტი და გავხდეთ ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი.

რაც შეეხება დათქმებს, რომლებიც დაგვიწესეს სამივე ქვეყანას, ეს დათქმა აბსოლუტურად იდენტურია ყველა ქვეყნის შემთხვევაში, ერთადერთი სხვაობა, რაც ჩვენს შემთხვევაში, პირველი რეკომენდაციაა, დეპოლარიზაცია გახლავთ. თვალი უნდა გავუსწოროთ სიმართლეს და ვაღიაროთ, რომ საქართველოში ნამდვილად არის მტრული და აგრესიული ურთიერთდაპირისპირება მმართველ პარტიასა და დანარჩენ ოპოზიციურ სპექტრს შორის. როგორც ჩანს, უკრაინისა და მოლდოვას პოლიტიკურ სპექტრში ისეთი მძაფრი პოლიტიკური წინააღმდეგობა არაა, როგორც ჩვენთან...

– დიახ, საქართველოში უფრო მძაფრია პოლარიზაცია, რადგან რუსეთის უკრაინაში შეჭრისთანავე, ზელენსკის ის ოპონენტებიც კი გვერდით დაუდგნენ, რომლებიც მანამდე, რადიკალურად უპირისპირდებოდნენ. სხვათა შორის, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, მაშინდელი ოპოზიციაც ასე მოიქცა, ყველამ „დაივიწყა“ 2007 წლის 7 ნოემბერი და სააკაშვილის გვერდით დადგნენ, ოღონდ ზუსტად იმავე დღეებში, აგვისტოს ომის დროს, ხელისუფლების წარმომადგენლების გრძელი რიგიც ვნახეთ წითელ ხიდზე, ერთმანეთს რომ ასწრებდნენ ქვეყნიდან გაქცევას...

– გეთანხმებით, ზუსტად ანალოგიური ერთიანობა უნდა იყოს ახლაც. არ ვიცი, რა და როგორ მოხდება, ღმერთმა ქნას, რომ დეპოლარიზაცია შევამციროთ და ალბათ, ყველას, ვისაც საქართველოზე გული შესტკივა, ჩვენი ევროპული მომავლის სჯერა და უნდა ამაში თავისი წვლილი შეიტანოს, ერთად დავდგებით. ერთად უნდა შევამციროთ დეპოლარიზაცია და ერთად ვიმუშოთ იმ დათქმების შესრულებაზე, რაც ევროკომისიამ საქართველოს გაუწერა.

დავუბრუნდეთ ევროკომისიის რეკომენდაციებს. ჩვენ, მმართველი გუნდი – აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება, მზად ვართ, პუნქტების მიხედვით, ყველაფერი გავწეროთ, თუმცა ამ რეკომენდაციების პირველ პუნქტს – დეპოლარიზაციას მარტო ჩვენ ვერ შევასრულებთ. ალბათ, თვალ-ყურს ადევნებდით საქართველოს პრემიერ-მინისტრის პარლამენტში გამოსვლას, სამწუხაროდ, ძალიან საშინელი სურათი დაიხატა, დეპოლარიზაციისკენ ნაბიჯების გადადგმა კი არა, პირველივე წუთიდან, როგორც კი პრემიერმა ახსენა, რომ ევროპული პერსპექტივა მოგვენიჭა, რაც ისტორიული მოვლენაა, ატყდა წივილ-კივილი და მუშტების ბრახუნი, რაც არანაირად არ ჯდება კულტურაში, ეთიკასა და ევროპულობაში. ეს ნამდვილად არ დაეხმარება ჩვენი ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესს.

– ქალბატონო ეკა, დეტალურად განვიხილოთ ევროკავშირის ყველა რეგულაცია, რაც დღემდე გვაქვს შესრულებული და გავაანალიზოთ, ვიმსახურებდით ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსს თუ არა?

– მოდით, ათვლის წერტილად 2014 წლის 27 ივნისი ავიღოთ, როდესაც ხელი მოვაწერეთ ასოცირების შეთანხმებას. ეს იყო თვისობრივი გარდატეხის ხანა საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე, რადგან აქამდე გვქონდა ევროპული სამეზობლო პოლიტიკა, სადაც

ევროკავშირის რა რეგულაციები შევასრულეთ და რა დაგვრჩა შესასრულებელი

გაწერილი იყო სამოქმედო გეგმა, რაც სავალდებულო ხასიათის არ ყოფილა, საქართველოს კეთილი ნება გახლდათ, ყველაფერი ეს განეხორციელებინა. მოგვიანებით, 2009 წელს, აღმოსავლეთის პარტნიორობის ფარგლებში, ყოფილი საბჭოთა ქვეყნები გაერთიანდნენ ევროპის აღმოსავლეთ სამეზობლოში და ამ ქვეყნებზე მორგებულად წარიმართა ევროინტეგრაციის პროცესი. უკვე 2014 წელს, რაც თვისობრივი გარდატეხის ხანა იყო, საქართველომ, მოლდოვამ და უკრაინამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რითაც საერთაშორისო საზოგადოების წინაშე ხმამაღლა განაცხადეს, რომ ნებაყოფლობით კი არა, სამართლებრივად არიან ვალდებულები, შეასრულონ ყველა რეკომენდაცია.

რაც შეეხება რეგულაციებს, ისინი სხვადასხვა სიმძიმისაა, რაც არა მარტო კონკრეტული კანონების მიღებას, არამედ, ამ კანონების შესაბამის აღსრულებასა და ინსტიტუციურ მოწყობასაც ნიშნავს. ასოცირების შეთანხმების შემადგენელი ნაწილი იყო ის ცვლილებები და რეგულაციები, რომლებიც ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის – DCFTA გახსნას ეხებოდა ევროკავშირთან. DCFTA-ის ნაწილი 14 თავისგან შედგება და თითქმის ყველა სფეროს ეხება, მათ შორის, არა მარტო საბაჟო ბარიერების მოხსნას, არამედ, ფიტოსანიტარული და ტექნიკური ბარიერების მოხსნასაც ვაჭრობაში, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია.

მეტიც, ასოცირების შეთანხმების ნაწილი იყო უვიზო რეჟიმის შემოღებაც ევროკავშირთან, ასევე, ცალკე საკითხად გავიტანეთ ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმაც. საქართველომ განაცხადა, რომ ამ მიმართულებებით რეფორმებს იმაზე უფრო სწრაფად შეასრულებდა, ვიდრე მთლიანად, ასოცირების შეთანხმების განხორციელებას დასჭირდებოდა და ამიტომ, უვიზო რეჟიმიცა და ვიზალიბერალიზაციაც ცალკე საკითხებად გავიდა. ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა მოიცავდა რამდენიმე ძირითად ბლოკს: საქართველოს უნდა განეხორციელებინა რეფორმები ადამიანის უფლებების; დოკუმენტების უსაფრთხოებისა და ქვეყნის შიდა უსაფრთხოების მხრივ. როდესაც ყველაფერი ეს შევასრულეთ, სამი-ოთხი შეფასებითი მისია ჩატარდა ევროკავშირის მიერ და მას შემდეგ, რაც ჩვენი პროგრესი დადებითად სცნეს, 2017 წლის 13 მარტს, ევროკავშირთან უვიზო რეჟიმი მოგვენიჭა. იცით, ეს რას ნიშნავს? – ევროკავშირი აღიარებს, რომ საქართველოში დაცულია ადამიანის უფლებები; ეთნიკური უმცირესობების უფლებები; სექსუალური უმცირესობების უფლებები; დოკუმენტები უსაფრთხოა ანუ საქართველოში დაბეჭდილი და გამოცემული დოკუმენტები არაა გაყალბებული და მკაცრად კონტროლდება; დაცულია საზღვრების უსაფრთხოება, ხოლო ქვეყნის შიგნით – მართლწესრიგი და უსაფრთხოება! ევროპა სცნობს ყველაფერ ამას, რადგან უვიზო მიმოსვლა არ გახლავთ მხოლოდ ის, რომ აიღოთ ბილეთი და გადაფრინდეთ პარიზში! ევროკავშირმა სცნო, რომ საქართველოში ადამიანის უფლებები, ეთნიკური და სექსუალური დისკრიმინაცია, დოკუმენტების უსაფრთხოება, საზღვრების დაცვა, მართლწესრიგი და უსაფთხოება დაცულია, საქართველო აკმაყოფილებს ევროპის სტანდარტებს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია!

– კარგია, ამას რომ ამბობთ, ქალბატონო ეკა, რადგან საზოგადოების გარკვეულ ნაწილს ჰგონია, ვინაიდან თბილისში პრაიდი არ ჩატარდა, ევროკავშირში ამიტომ არ გვიღებენ. სინამდვილეში, თურმე, ევროსტრუქტურები აღიარებენ, რომ ჩვენს ქვეყანაში სექსუალური უმცირესობების უფლებები დაცული ყოფილა.

– დიახ, ასეა და რადგან პრაიდი ახსენეთ, მეც მინდა, ორიოდე სიტყვით ამ თემას შევეხო. რა თქმა უნდა, ძალიან ცუდი მოვლენების მომსწრენი გავხდით, რაც არ არის მისაღები და ამას ვგმობთ, მაგრამ მსგავსი რამ ევროპის ქვეყნებშიც ხდება. მთავარი ისაა, რომ სექსუალური დისკრიმინაციის ნიშნით ძალადობა და აგრესია სახელმწიფოს დონეზე დასჯადია, სახელმწიფო გმობს სექსუალურ დისკრიმინაციას, არ მიესალმება და შესაბამისი კანონებიც გვაქვს! რა თქმა უნდა, მსგავსი ფაქტები არ უნდა ხდებოდეს, თუმცა ისიც ხომ ვიცით, რომ დანაშაული, იგივე, ქურდობა და მკვლელობა არ უნდა ხდებოდეს, მაგრამ სამწუხაროდ, ხდება. ქვეყანაში სამართალდამცავები იმიტომ არიან, რომ აღკვეთონ მსგავსი ფაქტები და ცხადია, პრევენციულ ზომებზეც უნდა ვიფიქროთ.

დავუბრუნდეთ ასოცირების შეთანხმებას და რეგულაციებს, რაც ამ შეთანხმების ფარგლებში შევასრულეთ. მთლიანობაში, ასოცირების შეთანხმების მიხედვით გაწერილი რეგულაციების 45% უკვე შესრულებულია, მათ შორის, DCFTA-ის ნაწილში – 60%-ია შესრულებული; ენერგეტიკის სფეროში – 50%. ფაქტობრივად, ძალიან კარგი და შთამბეჭდავი პროგრესი გვაქვს ყველა მიმართულებით. ინსტიტუციური მოწყობის მხრივ, დაარსებულია, ფუნქციონირებს და გაძლიერებულია ისეთი ინსტიტუტები, როგორებიცაა: სურსათის უვნებლობის სააგენტო, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო, პროფესიული უნარების განვითარების სააგენტო, შრომის ინსპექცია.

რა თქმა უნდა, მუშაობა გრძელდება. ტრანსპორტის დარგში მნიშვნელოვანი ცვლილებები და ახალი რეგულაციების მიღება იგეგმება, რაც დაგვაახლოებს ევროპულ სივრცესთან და ხელს შეუწყობს ჩვენს ევროინტეგრაციას. საქართველოს მიერ გაწეული პროგრესის შედეგად, სულ ახლახან, ჩვენმა ქვეყანამ მიიღო უფლება, რომ ევროკავშირის ბაზარზე, ტარიფის გარეშე შეეტანა ცხოველური წარმოშობის პროდუქტები. ის, რომ რეგულაციები ინერგება და თან ეკონიმიკაც ნორმალურად ვითარდება, ამას მოწმობს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს – „საქსტატის“ მონაცემები ეკონომიკურ ზრდაზე. ფაქტობრივად, ორნიშნა ეკონომიკური ზრდა გვაქვს, რაც ძალიან მნიშვნელოვანი მიღწევაა.

გამოწვევები არის და ამაზე თვალს არ ვხუჭავთ, ვგულისხმობ სიღარიბისა და ინფლაციის მაჩვენებლებს, რაც ჩვენი ეკონომიკისთვის, მთავრობისა და ჩვენი გუნდისთვის უმძიმესი ტვირთია. ყოველდღიურად ვცდილობთ, მოვაგვაროთ და მოსახლეობის მოწყვლადი ფენისთვის ისეთი პროგრამები შევიმუშაოთ, რომ ეს ტვირთი შევუმსუბუქოთ. ამ პრობლემის ერთადერთი წამალი ჩვენი ეროვნული ეკონომიკის გაძლიერება, მაღალი ზრდისა და მაღალი შემოსავლების უზრუნველყოფაა, რათა ჩვენმა შემოსავლებმა გადაუსწროს ინფლაციურ პროცესებს, რომ პროდუქტების გაძვირება მძიმე ტვირთად აღარ დააწვეს რიგით მოქალაქეებს. ჩვენი ძალისხმევა აქეთკენ უნდა მივმართოთ – მაქსიმალურად უნდა შევეცადოთ, გავზარდოთ ეკონომიკური ზრდა და დასაქმება, რომ მოსახლეობას მაღალი შემოსავლები ჰქონდეს.

– რა დაგვრჩა შესასრულებელი?

– როგორც გითხარით, რეგულაციების 45%-ია შესრულებული, მაგრამ დარჩა მთელი რიგი საკითხები, რაც ნელ-ნელა უნდა შევასრულოთ. მაგალითად, ვაჭრობის სფეროშია მთელი რიგი ღონისძიებები გასატარებელი, რათა ჩვენი სისტემები დაუახლოვდეს ევროკავშირს, ასევე, ენერგეტიკის სფეროშიც გასატარებელია რეფორმები და ტრანსპორტის სფეროშიც გარკვეული ცვლილებები იგეგმება. წარმოიდგინეთ, დაახლოებით, ათი წლის შემდეგ, საქართველო – ჩვენი მოწყობითა და ჩვენი კანონმდებლობით, ევროკავშირის წევრი ქვეყნის იდენტური ქვეყანა უნდა იყოს.

თათია გოჩაძე
598-43-50-34

„ხელისუფლებასა და ოპოზიციის დიდ ნაწილში პოლიტიკური ანაქრონიზმია“

ლელა ჯეჯელავას თვალით დანახული 3 ივლისი

3 ივლისს, რუსთაველზე მორიგი მასშტაბური აქცია გაიმართა, თუმცა ბევრი დემონსტრანტი აქციის შემდეგ იმედგაცრუებული დარჩა, რადგან მიიჩნია, რომ ორგანიზატორებმა მუხტის შენარჩუნება ვერ შეძლეს და მასშტაბური აქცია განგებ ან დაუდევრობის გამო დაშალეს. ამ და სხვა მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებზე „ვერსია“ ანალიტიკოს ლელა ჯეჯელავას ესაუბრა:

– მე სხვა პრიზმაში ვუყურებ ამ საკითხს – ეს არის ისტორიული კონტექსტი და ჩვენი, ქართველი ხალხის ნება. ეს სინერგია უკვე შემდგარია, ამიტომ ეს აუცილებლად მიგვიყვანს საბოლოო შედეგამდე. რამდენად სწორი სტრატეგიითა და ტაქტიკით მოქმედებს ამ აქციის წარმმართველი ბირთვი, რასაკვირველია, მნიშვნელოვანია, მაგრამ ახლა ამას არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. დარწმუნებული ვარ, ეს სინერგია წარმოშობს სწორ ტაქტიკას, სტრატეგიას და პერსონებსაც, რომლებსაც ექნებათ უნარი გადაწყვეტილების მიღებისა. სამწუხაროდ, ოპოზიციურ სპექტრსა და სამოქალაქო სექტორში გვაკლია ისეთი პერსონები, რომელთაც აქვთ გადაწყვეტილების მიღების უნარი. რასაკვირველია, ეს არის გარკვეული ტიპის ნიჭი და უნარი და თუ ეს ადამიანს არ აქვს, არ არის მისი დანაშაული, მაგრამ როცა ასეთი პროცესების მართვის სადავეებს იღებს ხელში, მას სჭირდება მეტი პასუხისმგებლობა და გაცნობიერება, თუ რამდენად შესწევს ამის უნარი. არ ვფიქრობ, რომ ეს პროცესი მოკლევადიანია, რადგან ეს ლოგიკური გაგრძელებაა საქართველოს უახლესი ისტორიის 30-წლიანი პერიოდისა ანუ საქართველოს დამოუკიდებლობიდან, მის ადგილამდე ახალ, გეოპოლიტიკურ კონფიგურაციაში.

30 წლის წინ, ქართველი ხალხი გააერთიანა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეამ. მას შემდეგ, ჩვენ გამაერთიანებელი იდეა აღარ გვქონია, ქართველი ხალხის პროტესტი ყოველთვის მიმართული იყო ვიღაცის ან რაღაცის წინააღმდეგ. დღეს ჩვენი ეროვნული ენერგიის კონსოლიდაცია ხდება არა ვიღაცის ან რაღაცის წინააღმდეგ, არამედ, ჩვენს, საკუთარ თავთან დაბრუნების გარშემო, რადგან ჩვენი ევროპული იდენტობა არაა ის, რომ ახალ, გაუკვალავ გზაზე მივდივართ. ეს არის ჩვენი იდენტობა, რომელიც ისტორიული ძნელბედობის გამო გვქონდა დაკარგული და მხოლოდ ახლა ვუბრუნდებით საკუთარ თავს. როდესაც ევროპელები გვებნებიან, რომ საჭიროა მეტი შემწყნარებლობა, ეს ჩვენ დაგვავიწყდა, თორემ „ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორედ მოეფინების“, „მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები“, ყველაფერი ეს ანუ თანასწორობა და თავისუფლება ის ღერძია, რომელზეც ხდებოდა ქართველის ჩამოყალიბება, როგორც ერისა, სწორედ ამ ღერძის გარშემო ვბრუნავდით, უბრალოდ, ხელახლა ვბრუნდებით საკუთარ თავთან, თუმცა სადმე კი არ მივდივართ, საკუთარ თავს ვუბრუნდებით.

ქრისტიანობამდეც კი დასავლური ცივილიზაციის ნაწილი ვიყავით. გაიხსენეთ, ფარსმან ქველის ძეგლი რომში – რომელი ევროპული ქვეყნები დაიკვეხნიან, რომ დასავლური ცივილიზაციის ციტადელში დაედგათ მათი ქვეყნის მეფის ძეგლი? – ასეთი ბევრი არაა, ამიტომ გენეტიკური მეხსიერების დონეზე, როგორც ჩანს, ამას ქართველები ვატარებდით, თუ სადაა ჩვენი რეალური ადგილი და ახლა სწორედ ამიტომ მოხდა ჩვენი კონსოლიდაცია ამ იდეის გარშემო. როგორ ცუდად და უნიათოდაც უნდა მოიქცენ მიტინგების წამყვანები, ამ სურვილს ვეღარაფერი ჩაახშობს და ხელისუფლებას ტყუილად არ უნდა ჰქონდეს იმის იმედი, რომ თუ დღეს, ჩვენი საზოგადოება მიტინგის წამყვანებზე გაბრაზდება, ეს მისცემს შესაძლებლობას, ქვეყანა შეაბრუნოს იმ გზიდან, საითკენაც ცნობიერ და არაცნობიერ დონეზე ილტვის ჩვენი კოლექტიური გენი.

ასე რომ, მაინც ოპტიმისტურად ვუყურებ პროცესებს, მჯერა იმ სინერგიისა, რომელზეც ვსაუბრობდი და მჯერა, რომ აუცილებლად მოვძებნით სწორ ტაქტიკასაც და სტრატეგიასაც.

რაც შეეხება ხელისუფლებას, პირდაპირ შემიძლია, გითხრათ, რომ მორალური უპირატესობა არავისთან შედარებით აღარ აქვს. 3 ივლისს დაამტკიცა, რომ ყველა ერთად, კოლექტიური „დიმიტრია.“ „კოლექტიურ დიმიტრის“ კი ევროპაში ადგილი არ აქვს და ამიტომ ამ პროცესს, რასაც ჰქვია ევროპული ინტეგრაცია და ევროპული ოჯახისკენ სწრაფვა, თავისთავად მოჰყვება „ქართული ოცნების“ შეცვლა.

– ქალბატონო ლელა, საზოგადოება აქციის ორგანიზატორებისგან თვალნათელ გეგმას ითხოვს, თუ როგორ უნდა მოხდეს მიზნის მიღწევა. გვახსოვს 2009 წლის „კარვების ქალაქი“, როცა მაშინდელი ხელისუფლება ცხოვრებას ჩვეულ რეჟიმში აგრძელებდა, ამიტომ საინტერესოა, რა უნდა გააკეთოს ახლა ოპოზიციამ და აქციის ორგანიზატორებმა, რომ ხელისუფლებამ მათი მოთხოვნები ყურად იღოს?

– 2009 წელს, „კარვების ქალაქი“ რომ იყო და ხელისუფლება არ იმჩნევდა სამართლიან პროტესტსა და ბრაზს, 2012 წელს, სად წავიდა და რაში გარდაიქმნა ეს პროტესტი?

– ხელისუფლება შეიცვალა...

– ბუნებრივია, ასეც იქნება. გასაგებია, რომ ძალიან გვეჩქარება, მაგრამ მოვლენებს აქვს განვითარების ლოგიკა, რომელსაც მხოლოდ ჩვენ არ განვაპირობებთ. ეს ენერგია, სწრაფვა ევროპული ოჯახისკენ და ბრაზი ხელისუფლების მიმართ, არსად წავა, ბრაზი იმიტომ, რომ ხელისუფლება წინ აღუდგა ჩვენი ერის ბუნებრივ მოთხოვნილებას. ამიტომ, დღეს თუ ხვალ, ეს აუცილებლად მივა ლოგიკურ დასასრულამდე, არ ვიცით, ხვალ რა შეიძლება გახდეს მოვლენების „დეტონატორი“. ისე, როგორც 2019 წლის 20 ივნისს, „გავრილოვის ღამეს“ არავინ იცოდა, რა შეიძლება მომხდარიყო, მაგრამ გავრილოვი აღმოჩნდა „დეტონატორი“. ხვალ რა გახდება ასეთი ფაქტორი, არავინ იცის, როდესაც ამას მოითხოვს ისტორიული პროცესის განვითარება. ზოგჯერ გარემოებებიც განაპირობებენ ხოლმე ამას და არა – მხოლოდ პერსონები, სტრატეგიული გეგმები. მინდა, რომ უფრო ზემოდან უყურებდეს ჩვენი საზოგადოება ამ პროცესს და არა – კონკრეტული პერსონების ქმედებებისა და მათი უნარებიდან გამომდინარე. ისტორიული პროცესის განვითარების ლოგიკა ითხოვს, რომ დავუბრუნდეთ საკუთარ ფესვებს, დასავლურ ცივილიზაციას და იქ დავიმკვიდროთ ადგილი. ამ პროცესში, რაც ჩვენთვის ხელშემშლელია, ბუნებრივად ჩამოგვშორდება, მათ შორის, „ქართული ოცნებაც“.

– როგორ ფიქრობთ, „ქართული ოცნება“ ამ პროცესში, საკუთარ ამომრჩეველს დაკარგავს?

– კი, აუცილებლად და ესეც გარდაუვალი პროცესია. ვხედავთ, რომ დროთა განმავლობაში, როცა „ქართული ოცნება“ ცდილობს კონტრაქციების დაგეგმვას, მხოლოდ საკუთარ პარტიულ აქტივსა და საჯარო მოხელეებს ეყრდნობა და ნელ-ნელა, მათი რიცხვიც მცირდება. ჩემ გარშემო არიან „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები, რომლებიც შეიძლება აქტიურად ვერ გამოხატავენ თავიანთ პროტესტს, მაგრამ უხერხულობას ნამდვილად გრძნობენ ყველაფერ იმის გამო, რაც ახლა ხდება.

– გაქვთ მოლოდინი, რომ 2024 წლის არჩევნებით, საქართველოში კოალიციური ხელისუფლება დაკომპლექტდება? იმისთვის, რომ ხელისუფლება შეიცვალოს, საზოგადოება ოპოზიციას უნდა ენდობოდეს, თქვენი ხედვით, დღევანდელ ოპოზიციას ხალხი სათანადო მხარდაჭერა აქვს?

– სერიოზული პრობლემა გვაქვს პოლიტიკურ სპექტრთან დაკავშირებით იმიტომ, რომ ხელისუფლებასა და ოპოზიციის დიდ ნაწილში, გარკვეულწილად, პოლიტიკური ანაქრონიზმია, არ შეესატყვისება თანამედროვე რეალიებს. ჩვენს პოლიტიკოსებს არ აქვთ განცდა, რომ აბსოლუტურად სხვა სიტუაციაში ვიმყოფებით, როცა ფიზიკური მონაცემებიც კი შეიცვალა ჩვენ გარშემო. ამიტომ, პერსპექტივა ექნება მხოლოდ ისეთ პოლიტიკოსებსა და პარტიებს, რომლებიც იქნებიან გულწრფელები, იტყვიან და გააკეთებენ იმას, რისიც სჯერათ. თუ არ შედგა ემოციური ბმა პოლიტიკოსებსა და საზოგადოებას შორის, სხვა შემთხვევაში, ამ პოლიტიკურ სპექტრს ძალიან ნაკლები პერსპექტივა აქვს და წმინდა ადგილი ცარიელი არასდროს რჩება, პროცესი აუცილებლად წარმოაჩენს იმ ტიპის პოლიტიკოსებს, რომლებიც იქნებიან გულწრფელები, რომელთა სურვილი იქნება ხალხის სამსახურში ყოფნა და არა – ხალხის ხელმძღვანელობა.

– საინტერესოა, რამდენად გადადებენ გვერდით საკუთარ ამბიციებს პოლიტიკოსები, რადგან ვხედავთ, რომ ოპოზიციური პარტიები ერთ მაგიდასთან დასხდომასაც კი ვერ ახერხებენ სასაუბროდ...

– ეს მხოლოდ მათი პრობლემაა, ისინი აღმოჩნდებიან პროცესებს მიღმა. ცოტა პოლიტიკოსი და პარტია ვიცით, რომლებიც ისე გამქრალან, რომ მეხსიერებამაც აღარ შემოინახა, თუ რა? ქართული პოლიტიკა აუცილებლად გაცოცხლდება და შეიძენს მუხტს, რომელიც იქნება ზუსტად იმ ენერგეტიკის მატარებელი, რაც აუცილებლელია ისტორიული პროცესის დასაძრავად.

ვინ არიან ოკუპირებული ცხინვალის სამი „ექსჩინოსანი“, რომლებზეც აგვისტოს ომის გამო, ჰააგამ ძებნა გამოაცხადა

თათია გოჩაძე
598-43-50-34

ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ (ICC), 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის საქმეზე, ე.წ. სამხრეთ ოსეთის ყოფილი მაღალჩინოსნების მიმართ ძებნა გამოაცხადა. ჰააგის სასამართლოს წინასასამართლო პალატამ დააკმაყოფილა 2022 წლის 10 მარტის შუამდგომლობითი მიმართვა, გაეცათ ომის დამნაშავეების დაკავების ორდერი. ამ გადაწყვეტილებას საქართველოს გენერალური პროკურატურა გამოეხმაურა. უწყებაში აღნიშნავენ, რომ დაკავების განჩინებები გაეგზავნება ყველა რელევანტურ სახელმწიფოს, რათა უზრუნველჰყონ ამ პირების დაკავება და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წინაშე წარდგენა.

ძებნა გამოცხადდა შემდეგ პირებზე:

მიხაილ მაირამის ძე მინძაევი – რუსეთის მოქალაქე, დაბადებული 1955 წლის 28 სექტემბერს, ვლადიკავკაზში, ჩრდილოეთ ოსეთში; რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში ყოფილი მაღალი თანამდებობის პოლიციელი, 2005 წლიდან 2008 წლის 31 ოქტომბრამდე, ოკუპირებული ცხინვალის ე.წ. შინაგან საქმეთა მინისტრი – ბრალად ედება 2008 წლის 8-27 აგვისტოს ჩადენილი ომის დანაშაულები, კერძოდ, უკანონო დაპატიმრება, წამება და არაადამიანური მოპყრობა, პიროვნული ღირსების შელახვა, მძევლების აყვანა და მშვიდობიანი მოქალაქეების უკანონო გადაყვანა.

გამლეტ გუჩმაზოვი – რუსეთისა და, სავარაუდოდ, საქართველოს მოქალაქე, დაბადებული 1976 წლის 9 ივლისს, ცხინვალის რეგიონში; ციხის იზოლატორის უფროსი 2008 წლის ომის დროს – ბრალდებულია 2008 წლის 8-27 აგვისტოს შუალედში ჩადენილ ომის დანაშაულებში: უკანონო დაკავებაში, წამებასა და არაადამიანურ მოპყრობაში, პიროვნული ღირსების შელახვაში, მძევლების აყვანასა და მშვიდობიანი მოქალაქეების უკანონო გადაყვანაში.

დავით გიორგის ძე სანაკოევი – დაბადებული 1976 წლის 14 დეკემბერს, ცხინვალში; ე.წ. ომბუდსმენი 2008 წლის აგვისტოს ომის დროს – ბრალდებულია ომის დანაშაულებში, კერძოდ, მძევლების აყვანასა და მშვიდობიანი მოქალაქეების უკანონო გადაყვანაში.

საქართველოს პროკურატურის განცხადებაში ნათქვამია, რომ ჰააგის სასამართლოს მიერ გამოცემული დაკავების განჩინებები ეხება 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, ეთნიკურად ქართველების თავისუფლების უკანონო აღკვეთას, მათ მიმართ წამებასა და არასათანადო მოპყრობას, მძევლად აყვანასა და შემდგომ უკანონო გადაცემას. ყველა აღნიშნული ქმედება წარმოადგენს ომის უმძიმეს დანაშაულს.

პროკურატურის განმარტებით, სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ხსენებული დანაშაულების ჩადენა მოხდა რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებული ოკუპაციის კონტექსტში. მათი თქმით, პროკურორის ოფისის მიერ წარმოებულმა გამოძიებამ, ასევე, გამოავლინა რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გენერალ-მაიორისა და საჰაერო ძალების ხელმძღვანელის მოადგილის, ვიაჩესლავ ბორისოვის როლი მითითებული დანაშაულების ჩადენაში, თუმცა იგი ამჟამად გარდაცვლილია.

„ხსენებული მტკიცებულებების შეგროვებისა და სახელმწიფო პოზიციების შემუშავების პროცესში, საქართველოს გენერალურ პროკურატურას, სხვა უწყებებთან ერთად, მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის“, – აღნიშნულია განცხადებაში.

* * *

„ვერსია“ აღნიშნულ საკითხზე არაერთხელ წერდა, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჰააგის სასამართლოს პროკურატურამ ხსენებულ სამ პირზე დაკავების ორდერის გაცემისთვის მიმართა. ახლა კი „ევროპული დემოკრატების“ ლიდერს, პაატა დავითაიას უკვე მიღებული გადაწყვეტილების შესაფასებლად ვესაუბრეთ:

სტატიის დასაწყისში უნდა აღინიშნოს, რომ პაატა დავითაია იმ დროებითი საპარლამენტო კომისიის ხელმძღვანელი გახლდათ, რომელმაც ჰააგის სასამართლოს მიაწოდა მტკიცებულებები მინძაევისა და სხვა პირების დანაშაულების შესახებ, რაც გახდა საფუძველი სასამართლოს გადაწყვეტილებისა აღნიშნული პირების მიმართ ძებნის გამოცხადებასთან დაკავშირებით...

„იცით, დაახლოებით, ორი თვის წინ, ჰააგის სისხლის სამართლის სასამართლოს პროკურატურამ მიმართა ამ ადამიანებზე დაკავების ორდერის გაცემასთან დაკავშირებული მოთხოვნით. პროცედურების გავლის შემდეგ, სასამართლომ დაადასტურა ეს ორდერი და უკვე ეს ადამიანები ოფიციალურად იძებნებიან მთელ საერთაშორისო სამართლებრივ სისტემაში, გარდა რუსეთისა. მესამე ქვეყნებში, სადაც არ უნდა ამოყონ თავი, ყველა სახელმწიფო ვალდებულია, გადასცეს ჰააგის საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს პროკურატურას“.

დავითაიას თქმით, ეს გადაწყვეტილება იმ პროცესის ნაწილია, რაც ჰააგის პროკურატურამ დაიწყო დანაშაულის კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულზე ცხინვალის რეგიონში:

„ეს ცხადჰყოფს იმას, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია დასტური, რომ 2008 წელს, საქართველოს წინააღმდეგ განხორციელდა სერიოზული აგრესია. მინდა, ხაზი გავუსვა მინძაევზე გაცემულ დაკავების ორდერს – ეს მოხდა იმ მტკიცებულების საფუძველზე, რაც იმ დროებითმა საპარლამენტო კომისიამ მოიპოვა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი. ამ მტკიცებულებაში მინძაევი იძლევა ბრძანებას ქართული სოფლის განადგურებაზე. სიმართლე გითხრათ, ძალიან მეამაყება, რომ მტკიცებულება, რომელიც მე მოვიპოვე, საფუძველი გახდა ამ გადაწყვეტილებისა, – აცხადებს დავითაია და დასძენს, რომ პროცესი გაგრძელდება, – **ცალსახაა, მხოლოდ მინძაევი ხომ არ იყო იმ ყველაფრის ხელმძღვანელი, რაც ომის დროს ხდებოდა? – ამიტომ, ეს პროცესი გაგრძელდება, მაგრამ აქ სხვა პრობლემაა, რაზეც გული მწყდება... საქართველოს სამართალდამცავი სტრუქტურების მიერ არ ხდება ამ ადამიანებზე სანქციების გაცემა და კიდევ ერთხელ დადასტურება იმისა, თუ როგორ მიდიოდა დანაშაული საქართველოს წინააღმდეგ. შემდგომი ყველაზე რთული პროცედურა, იცით, რა არის? სანამ მინძაევს არ დააკავებენ, იქამდე, შეიძლება, ეს საქმე გაჩერდეს იმიტომ, რომ მინძაევის ჩვენებაზეა დამოკიდებული ბევრი რამ. ყველას გვახსოვს მილოშევიჩის პროცესი, რომელიც წლობით გრძელდებოდა, ამიტომ მიმაჩნია, რომ სამართალდამცავი სტრუქტურების მუშაობა საქართველოში ძალიან მნიშვნელოვანია. თუ მხოლოდ მინძაევს კი არა, თუნდაც გაგლოევზე, რომელიც აპირებს ცხინვალის რეგიონის რუსეთზე მიერთებას, იგივე ინალ არძინბაზე მიიღებენ გადაწყვეტილებას, ეს გაამაგრებდა ამ პოზიციას, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი პოზიცია საქართველოს არ აქვს.**

საინტერესო ისაა, რომ მინძაევსა და ამ ადამიანებზე ხდება საერთაშორისო სანქციების გაცემა და ამდენი წლის განმავლობაში, საქართველოს მხრიდან, არცერთი მათგანი ძებნილი არ იყო. მართალია, საქართველოს მხარემ ჰააგის სასამართლოს გადასცა მტკიცებულებები, მაგრამ საქართველოს სამართალდამცავი სტრუქტურები საქართველოს კონსტიტუციურ მრღვეველებზე – გაგლოევზე, არძინბასა და სხვებზე შესაბამის გადაწყვეტილებას არ იღებს“.

დავითაია კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ ჰააგის სასამართლოს გადაწყვეტილება არ ხორციელდება რუსეთსა და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, თუმცა დატოვებენ თუ არა ძებნილი ადამიანები აღნიშნულ საზღვრებს, მათ ყველა სხვა დანარჩენ ქვეყანაში დააკავებენ:

„მხოლოდ ტერიტორიის დატოვების შემდეგ კი არა, შეიძლება, ჰააგის პროკურატურამ მესამე ქვეყანას დაავალოს მათი დაკავება და სპეცოპერაციის ჩატარებაც კი... ამ სამიდან ერთ-ერთს თუ მაინც დააკავებენ, მათი ჩვენება გახდება საფუძველი იმისა, რომ სხვა ადამიანი გახდეს სანქცირებული, საუბარი უფრო მაღალი რანგის ფიგურებზეა“.

პაატა დავითაიას ვკითხეთ, რამდენად მნიშვნელოვანია ჰააგის სასამართლოს ეს გადაწყვეტილება ახლა, როდესაც საქართველოს დასავლეთისკენ, ევროკავშირისკენ სვლა გადამწყვეტ ფაზაში შედის, რადგან ამ გადაწყვეტილებით, ფაქტობრივად, კიდევ ერთხელ დადასტურდა 2008 წლის ომში, რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ განხორციელებული დანაშაული...

„რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანი განაცხადია, რაც იმედია, საქართველოს პოზიციებს გააძლიერებს, რადგან ის შიდა დაპირისპირება, რაც ქვეყანაშია, აზიანებს ქვეყნის სახელმწიფო ინტერესს და ჩვენს სვლას ევროკავშირისკენ. იმედს ვიტოვებ, რომ ეს ყველაფერი გაჩერდება“...

სახელმწიფო აუდიტორები მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებით დაინტერესდნენ

მაკა რუხაძე

სახელმწიფო აუდიტის სამსახური მცირე და საშუალო ბიზნესის (SME) განვითარებით დაინტერესდა. ამიტომ აუდიტის დასკვნა, რომელიც 2014-2021 წლებს მოიცავს და უწყების ვებგვერდზე გამოქვეყნდა, ეხება, როგორც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ასევე, სამინისტროს ქოლგის ქვეშ არსებული სააგენტოს „აწარმოე საქართველოში" იმ პროგრამებს, რომლებიც მეწარმეობის ხელშესაწყობად შეიქმნა. სახელმწიფო აუდიტორებმა სწორედ ამ ღონისძიებების პროდუქტიულობა და ეფექტიანობა შეიწავლეს. აუდიტის ფარგლებში, შეფასდა პროგრამის ინდუსტრიული მიმართულება, რომლის ძირითადი კომპონენტია – მეწარმეების მიერ ახალი საწარმოების შექმნის ან/და არსებული საწარმოების გაფართოება/გადაიარაღების მიზნით აღებული სესხების საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირება.

რა ხარვეზები გამოიკვეთა მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერ სახელმწიფო პროგრამებში და რატომ უჭირთ მცირე მეწარმეებს საბანკო კრედიტების მოპოვება

SME-ს საბანკო კრედიტების მოპოვება უჭირს

ვიდრე აუდიტის შედეგად გამოვლენილ ხარვეზებს განვიხილავთ, შეგახსენებთ, რომ საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტი კერძო სექტორის განვითარება, განსაკუთრებით, მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერაა. 2016 წელს, დამტკიცდა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია, რომლითაც მხარდაჭერის შესაბამისი მიმართულებები განისაზღვრა. სააგენტო „აწარმოე საქართველოში", რომლის ძირითად ფუნქციას მეწარმეობის, განსაკუთრებით, SME-ის მხარდაჭერა წარმოადგენს, 2014 წელს შეიქმნა. სააგენტო ამავე დასახელების პროგრამას – „აწარმოე საქართველოში" ახორციელებს, რომელიც რამდენიმე კომპონენტისგან შედგება. სააგენტოს მიერ ადმინისტრირებული პროგრამების დაგეგმვასა და მონიტორინგს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო აწარმოებს.

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ მცირე და საშუალო საწარმოები (SME) მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მდგრად და ინკლუზიურ ეკონომიკურ განვითარებაში. კარგად განვითარებული SME-ის სექტორი უზრუნველყოფს მეტი სამუშაო ადგილის შექმნას, ეკონომიკის ზრდას და ხელს უწყობს ქვეყნის კეთილდღეობის დონის ამაღლებას. განახლებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, საქართველოში მოქმედი საწარმოების 99.7% SME-ს მიეკუთვნება. თუმცა, მსოფლიო ბანკის კვლევის მიხედვით, SME-თვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა ფინანსებზე ხელმისაწვდომობაა, რადგან სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, SME-ში მაღალია ისეთი კომპანიების წილი, რომელთაც საბანკო კრედიტის მოპოვება უჭირთ.

ხარვეზები მეწარმეთა საჭიროებებზე გათვლილ პროგრამებში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ SME-თვის ფინანსებზე წვდომის მიმართულებით, ძირითადი საჭიროებები იყო: ახალი საწარმოების/„სტარტაპების" დაფინანსების მექანიზმების განვითარება; მაღალი საპროცენტო განაკვეთების მიმართულებით დახმარება იმ საწარმოებისათვის, რომელთაც შედარებით მეტად აწუხებდათ ეს პრობლემა; ხელშეწყობა უზრუნველყოფის მაღალი მოთხოვნების დაკმაყოფილებაში.

„პროგრამის დიზაინით განსაზღვრული პარამეტრები ნაკლებად უწყობდა ხელს SME-ის პრიორიტეტული საჭიროებების მოგვარებას და არ ქმნიდა დამატებით ხელშეწყობის მექანიზმებს ისეთი კომპანიებისა და დარგებისათვის, რომელთა დაკრედიტებაც მოქმედი საბანკო სისტემის პირობებში მეტ გამოწვევებთანაა დაკავშირებული. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკები „სტარტაპების" დაფინანსებისაგან თავს იკავებენ, მნიშვნელოვანია, ამგვარ პროგრამას ჰქონოდა „სტარტაპების" დაფინანსების ხელშეწყობის დამატებითი მექანიზმები. პროგრამის დიზაინის მიხედვით, „სტარტაპებისა" და არსებული საწარმოების გაფართოების დაფინანსების მექანიზმები ერთმანეთისაგან არ განსხვავდებოდა. აქედან გამომდინარე, იქმნება რისკი, რომ პროგრამის ფარგლებში ვერ დაფინანსებოდნენ „სტარტაპები", ხოლო პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული, ახლად შექმნილი საწარმოების უმეტესობა, მსხვილ კომპანიებთან აფილირებულნი იქნებოდნენ", – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

გარდა ამისა, მცირე და საშუალო მეწარმეების მხარდამჭერი პროგრამა არ ქმნიდა დამატებით სტიმულებს ქვეყანაში განუვითარებელი სექტორებისა და საქმიანობებისთვის იმ პირობებში, როდესაც კომერციული ბანკები უპირატესობას კარგად განვითარებული და ტრადიციული დარგების დაფინანსებას ანიჭებენ. სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესისთვის გასაცემ სესხებზე არსებული მაღალი საპროცენტო განაკვეთები, მეტწილად, მეწარმე ფიზიკური პირებისა და შედარებით მცირე მოცულობის სესხების პარამეტრებით იყო განპირობებული. მიუხედავად ამისა, პროგრამის დიზაინი არ ითვალისწინებდა ფიზიკური პირებისა და შედარებით მცირე სესხების დაფინანსებას. ამასთან, პროგრამაში მონაწილებდნენ, როგორც მცირე და საშუალო, ასევე, მსხვილი კომპანიებიც კი!

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, მეწარმეთა საჭიროებების იდენტიფიცირებისთვის ხელშემშლელი ფაქტორებიდან აღსანიშნავია ქვეყანაში არსებულ მონაცემთა ნაკლოვანებები. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის – „საქსტატის", სააგენტო „აწარმოე საქართველოში" და ეროვნული ბანკის მიერ გამოყენებული SME-ის განსაზღვრებები ერთმანეთისაგან განსხვავდება. თავის მხრივ, ეს ართულებს SME-ის განვითარებისა და მისი საჭიროებების რეალისტურ შეფასებასა და მონაცემების ეფექტიან გამოყენებას მეწარმეობის ხელშეწყობის ღონისძიებების დაგეგმვის პროცესში.

პანდემიის საპასუხოდ გატარებული ღონისძიებები

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ კორონავირუსის პანდემიის დროს, როდესაც თითქმის ორი წლის მანძილზე, დროის გარკვეულ მონაკვეთებში, ქვეყნის ეკონომიკა ორჯერ დაპაუზდა ანუ „ლოქდაუნი" ორჯერ გამოცხადდა, სწორედ პანდემიის საპასუხოდ, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშემწყობი პროგრამის პარამეტრებიც საგრძნობლად შეიცვალა. კერძოდ, დაიწია პროგრამაში მონაწილეობისთვის საჭირო სესხის მოცულობის ქვედა ზღვარი, გაიზარდა დაფინანსებული საქმიანობების სახეები და დაფინანსების პერიოდი. ამასთან, პროგრამა უფრო მეტად ორიენტირებული გახდა მცირე და საშუალო საწარმოების დაფინანსებაზე.

როგორც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებულმა მეწარმეთა გამოკითხვამ აჩვენა, დროებითი პროგრამების ბენეფიციარებისთვის, ფინანსებზე ხელმისაწვდომობა კვლავ ძირითად საჭიროებად რჩება. გარდა ამისა, დაბალია მეწარმეთა ინფორმირებულობა სააგენტოს მიერ, პანდემიის საპასუხოდ გატარებული პროგრამების შესახებ.

სამართალი

№26 6 ივლისი 2022 წ

რუსთავის ციხიდან პატიმარი გაიქცა

როგორ დაგეგმა ქალმა ინვალიდი ქმრის მკვლელობა კრიმინალ საყვარელთან ერთად

ბათო ჯაფარიძე

როცა ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში მოვიდა, ერთ-ერთი პირველი, რაც გააკეთა, ახალი ციხეები ააშენა. თავიდან უცნაურად ჩანდა დიდი და ახალი ციხეების მშენებლობის სწრაფი ტემპები, თუმცა შემდეგ ყველაფერი ცხადი გახდა – ციხეში ხალხი ვაგონებით შეჰყავდათ და ახალი ტექნოლოგიების გათვალისწინებით, იქიდან გაქცევა წარმოუდგენელი იყო. ასეა ახლაც: ბოლოს როდის გაიგეთ, რომ ქართული ციხიდან ვინმე გაიქცა? სასამართლო დარბაზიდან კიდევ, ჰო, მაგრამ ციხიდან ვეღარავინ გარბის იმიტომ, რომ მავთულხლართიც მყარია, კედელიც და დაცვის რამდენიმე სისტემაცაა გასავლელი.

ადრე კი ასე არ იყო და რუსთავის „ზონებიდან“ თუ ორთაჭალის ციხიდან არაერთხელ გაქცეულან. ყოფილა შემხვევა, როცა რამდენიმე ათეული ადამიანი გაიქცა, იშვიათად – ერთეულები. ზოგადად, ძნელია მარტო გაქცევა და ეს მაშინაც ძნელი იყო, როცა ფიზიკურად, საშუალოზე ოდნავ მაღალ დონეზე მომზადებული ადამიანი, ორთაჭალის ციხისა თუ რუსთავის „ზონის“ კედელს მარტივად გადაახტებოდა.

1983 წელს, რუსთავის ციხიდან სწორედ ასე გაიქცნენ. ერთ-ერთი პატიმარი, რომელსაც 15 წელი ჰქონდა მკვლელობისა და ყაჩაღობისთვის მისჯილი, „ზონაზე“ ახალი მიყვანილი იყო. მას ორი წელი ჰქონდა მოხდილი და წინ 13 წელი ელოდა. ჰოდა, გაქცევა სცადა და გადასარევადაც გამოუვიდა: ჯერ ერთ კედელს გადაევლო, მერე – მეორეს და სანამ საყარაულო კოშკზე „ვიშკიორი“ აზრზე მოვიდა, იქვე გაჩერებულ მანქანაში ჩახტა და გაუჩინარდა. მანქანა სამართალდამცავებმა მალევე იპოვეს, ისევ რუსთავში, ერთ-ერთი კორპუსის ეზოში დაგდებული, თვითმხილველებმა თქვეს, იქიდან ორი კაცი გადმოხტა და გაურკვეველი მიმართულებით გაიქცაო. გადაკეტეს რუსთავი-თბილისის გასასვლელი, მთელი ქალაქი, პრაქტიკულად, ბლოკადაში მოაქციეს, მაგრამ ამაოდ – ცხელ კვალზე ვერც გაქცეულის დაკავება მოხერხდა და ვერც – მისი თანამზრახველის.

„მკვლელობისთვის ის კაცი ციხეში მე ჩავსვი და იმის მიუხედავად, რომ გაქცეული ძებნა ჩემი საქმე არ იყო, საგამოძიებო ჯგუფში მაინც ჩამრთეს. ეს იმიტომ, რომ მაშინაც, სანამ დავაკავებდით, რვა თვე ვეძებდით, გვემალებოდა, ხან სად ვუწყობდით ჩასაფრებას და ხან – სად. ბოლოს, ერთ ქალთან მოვიხელთეთ, საყვარლად ჰყავდა და ბოლო ოთხი თვე მის სახლს ვდარაჯობდით, ოღონდ ისე, რომ ვერავინ ეჭვს ვერ აიღებდა. იმ ქალის სახლის გვერდით, ომის ვეტერანი ცხოვრობდა ცოლთან ერთად, მასთან ორი ოპერმუშაკი შევასახლეთ, რომლებიც შინიდან არ გამოდიოდნენ, მთელი დღეები ისხდენენ და სახლს უთვალთვალებდნენ. ეს გრძელდებოდა ოთხი თვე და ბოლოს, როგორც იქნა, ჩავარდა. იგივე ილეთის გაკეთება არ გამოვიდოდა, დაკავებულმა ზუსტად იცოდა, როგორ დავიჭირეთ და ამიტომ, ქალს აღარ გაეკარებოდა. ჰო, იმ ქალს ლოგინად ჩავარდნილი ქმარი ჰყავდა, რაც მის საქციელს უფრო ამაზრზენს ხდიდა. ლოგინს მიჯაჭვული კაცი უყურებდა და ისმენდა, როგორ ერთობოდა მის ცოლთან ვიღაც კრიმინალი, მეორე ოთახში“, -გვიყვება მორიგ ამბავს პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

სამართალდამცავები ქალთან ჯიქურ მივიდნენ და საყვარლის ადგილსამყოფელი ჰკითხეს. ისიც შეახსენეს, რომ ხელის დაფარების შემთხვევაში, მასაც ციხე ელოდა. ქალმა თავი გაიგიჟა, რა კაცი, ან რა კრიმინალი, იმის შემდეგ ისეთი შერცხვენილი ვარ, სოფლიდან უნდა წავიდე, სხვა ქალაქში გადავსახლდე, აგერ, სახლს ვყიდი, როგორც კი გაიყიდება, აქედან გუდა-ნაბადს ავიკრავ და ვეღარც თქვენ მომაგნებთ და ვეღარც – ის ცხოველიო. მისი სიტყვები სიმართლეს ჰგავდა, რადგან მეზობლებმა დაადასტურეს, ორ თვეზე მეტია, სახლის გაყიდვა გადაწყვიტა, ყველგან კლიენტს ეძებს, მაგრამ ძვირს აფასებს და ვერ ყიდისო.

გაქცეულის ძებნა უშედეგოდ გრძელდებოდა. სამაგიეროდ, ძალოვნებმა ნახეს პიროვნება, რომელმაც მისი თანამზრახველი კარგად დაინახა, დაიმახსოვრა, ფოტორობოტიც შეადგინა და მასში ოპერმუშაკებმა ადრე რამდენჯერმე ნასამართლევი პირი ამოიცნეს. ის მარტივად იპოვეს და დააკავეს, სახლში იყო, არ ელოდა, რომ სამართალდამცავები ასე იოლად გაშიფრავდნენ. აღიარებასაც არ აპირებდა, მაგრამ რამდენიმე მოწმე დააყენეს პირზე და სხვა გზა აღარ ჰქონდა, აღიარა. სამაგიეროდ, წარმოდგენა არ ჰქონდა, სად წავიდა მისი ძმაკაცი. ის, უბრალოდ, გაქცევაში დაეხმარა, ჯიგრულად, 3 ათასი მანეთიც გამოართვა და გაქცევის დღის შემდეგ, აღარც უნახავს და აღარც შეხმიანებია.

დაიწყო ხანგრძლივი დევნისა და ძებნის პროცესი, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოდიოდა. როგორც წინა შემთხვევაში, ამჯერადაც გაქცეულმა ძალიან კარგად იცოდა, როგორ უნდა დამალულიყო და თუ სხვა ქალს იპოვიდა, მაშინ სამართალდამცავებს შეეძლოთ, ხელიც ჩაექნიათ, რადგან წინა საქმიდან ნაძარცვი ფული ვერ იპოვეს და მისი ოდენობა 20 ათას მანეთს აჭარბებდა, რაც გაქცეულს შესაძლებლობას მისცემდა, ერთი წლის განმავლობაში, მშვიდად ყოფილიყო, კარგი ეჭამა, კარგი ესვა და თუ კარგ ქალსაც იპოვიდა, გარეთ საერთოდ არ გამოვიდოდა. გადაამოწმეს გაქცეულის ყველა მეგობარი, ყოფილი თანამესაკნე, რომელიც არსად ჩანდა. მეტიც, რამდენიმე კრიმინალს სასჯელის შემსუბუქებას, ზოგს კი გათავისუფლებას სთავაზობდნენ, მაგრამ ბევრი მცდელობის მიუხედავად, ვერაფერი გაიგეს. ერთადერთ იმედად ისევ ის ძველი საყვარელი დარჩათ, მაგრამ მეზობლები ამბობდნენ, საეჭვო არაფერი შეგვინიშნავსო და უბნის რწმუნებულიც, რომელიც განსაკუთრებით აკვირდებოდა ქალის სახლის მიმდებარე ტერიტორიას, ადასტურებდა, საეჭვო არაფერი მინახავსო.

ასე გავიდა ოთხი თვე და გაქცეულის ძებნა უკვე ფორმალობად იქცა, სადმე, მოვალეობის მოხდის მიზნით თუ მოიკითხავდნენ გაქცეულის ამბავს და იქაც ვერაფერს იგებდნენ. ალბათ, არც არავინ შეიწუხებდა თავს, რომ არა უბნის რწმუნებული, რომელმაც განყოფილებაში დარეკა, იმ ქალმა სახლი გაყიდა და საცხოვრებლად სხვა ქალაქში მიდის, მაინც, რომ იცოდეთო და იქვე დააყოლა, საეჭვო კვლავ არაფერი შემინიშნავსო. ოპერმუშაკებმა გადაწყვიტეს, ერთიც გაებრძოლათ და ქალს გაჰყოლოდნენ. მან სხვა ქალაქში ავეჯით დატვირთული მანქანა გაუშვა, თავად კი მატარებლის სადგურზე გავიდა და ეტლში მყოფ მეუღლესთან ერთად, კუპეში შევიდა. ეჭვის გასაფანტად, ძალოვნებმა მას ორი ოპერმუშაკი ქალი გააყოლეს. მათი კუპე ორი ნომრის გვერდით იყო და ესეც მოვალეობის მოხდას ჰგავდა – ყველა დარწმუნებული გახლდათ, რომ გაქცეული მატარებელში არ მიაკითხავდა საყვარელ ქალს და მით უმეტეს, კუპეში არ შეუხტებოდა. ასეც მოხდა, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა და გამოძიებამ საბოლოოდ ჩაიქნია ხელი, თუმცა...

კიდევ ორიოდე თვე გავიდა, საგაზაფხულო სამუშაოები დაიწყო და... განყოფილებაში ისევ უბნის რწმუნებულმა დარეკა, იმ ქალის ეზოში, სახლის ახალმა პატრონმა ჭის ამოთხრა დაიწყო და დაახლოებით, ერთ მეტრში, ადამიანის ჩონჩხს მიაგნოო. ძალოვნები შემთხვევის ადგილზე გავიდნენ, ექსპერტებიც წაიყვანეს და ძვლები საგულდაგულოდ მოაგროვეს. ექსპერტის დასკვნით, ჩონჩხი მამაკაცს ეკუთვნოდა და რაც მთავარია, გადატანილი ტრავმის გამო, მამაკაცს სიარული არ შეეძლო.

„როგორც კი დასკვნა წავიკითხე, აღარც კი დავფიქრებულვარ, ისე გავვარდი იმ ქალის სახლისკენ, რომელიც სხვა ქალაქში, ეტლს მიჯაჭვულ ქმართან ერთად გადავიდა. ცხადი იყო, რომ გაგვაბითურეს, მამაკაცი მოკლეს, ქმრად სწორედ ციხიდან გაქცეული კაცი გაასაღეს და ჩვენ წვერსა და გაბურძგნულ თმებში, დიდად არ დავკვირვებივართ, ვინ იყო მისვენებული ლოგინზე. ვერაფერს იტყვი, იდეალური გეგმა გახლდათ, გეგმა, რომელმაც იმუშავა და რაც მთავარია, სახლის ახალ მეპატრონეს ჭის ამოთხრა კონკრეტულად იმ ადგილზე რომ არ დაეწყო, გვამი ისე ღრმად იყო ჩამარხული, ვერავინ იპოვიდა“, – ამბობს ბატონი თენგიზი.

კრიმინალი რომ არ დაეფრთხოთ, კარზე მეზობლის ქალს დააკაკუნებინეს და როგორც კი კარი გაიღო, ბინაში ოთხი ოპერმუშაკი შევარდა. კაცი დივანზე იყო წამოწოლილი და გაზეთს კითხულობდა. როცა მისკენ მიშვერილი იარაღი დაინახა, გაოცდა და ჩუმად იკითხა – „როგორ?“

მას ყველაფერი საკანში აუხსნეს და თავი მწარედ გადააქნია, ბედი არ მქონიაო. მისი თქმით, ქალს დაჭერამდე მოელაპარაკა, იდეალური გეგმა შეადგინა, ქალმა ხმა სახლის გაყიდვის შესახებ, კაცის ციხიდან გაქცევამდე რამდენიმე თვით ადრე დაყარა, გაქცეული პირდაპირ მასთან მივიდა, წვერი და თმა ციხეში უკვე მოშვებული ჰქონდა, ქმარი მაშინვე გაგუდეს და ღრმად დამარხეს. შედეგად, ერთი შეხედვით, ყველაფერმა იდეალურად ჩაიარა, თუმცა...

ბათო ჯაფარიძე

როგორ აპირებდა ექიმი დაქალისთვის ქმრის წართმევას

უცნაური კრიმინალური ამბავი

ანგარებით ქორწინება უცხო ხილი არც ადრე იყო და არც ახლაა. საქართველოში არც ის უკვირთ, როცა ფულის გამო, მშობლები წყვეტენ, რომ შვილები დააქორწინონ და ქონებას ქონება მიუმატონ, სიყვარული კი... რატომღაც, ადამიანების გარკვეულ კატეგორიას სჯერა, რომ სიყვარული თავისით მოვა, არადა, ეს ძალიან, ძალიან იშვიათად ხდება, თავისით არაფერი მოდის, თუმცა ანგარებით შექმნილი ოჯახები იშვიათად ინგრევა, უფრო ხშირად ხდება, რომ წყვილები ცალკე პოულობენ სიყვარულს, ყველამ ყველაფერი იცის და მაინც მშვიდად ცხოვრობენ, რადგან ეს სიმშვიდე აწყობთ და ორივეს თავისი საკუთარი, ცალკე ცხოვრება აქვთ.

„კი, იცით, ერთადერთი ქალიშვილი მყავს, რომელიც სამი წლის წინ გათხოვდა. არჩევანი თავად გააკეთა, ვიღაც ღარიბ-ღატაკს გაჰყვა, მაგრამ არ შევიმჩინე, მეგონა, წესიერი ბიჭი იყო. ახლა კი, ისე გამოდის, რომ ის ბიჭი ჩემი გოგოს საგიჟეთში გამომწყვდევას ცდილობს. შვილს ველარ ვცნობ და ეჭვი მაქვს, შეგნებულად აგიჟებს“, – პოლიციის გადამდგარ პოლკოვნიკს, ბატონ თენგიზს, კარგად ნაცნობმა ქალმა ეს წინადადება უთხრა და მაგიდაზე განცხადებაც დაუდო, რომელიც ძიების დასაწყებად საკმარისი იყო, თუმცა გამოძიებას ფარულად უნდა ემოქმედა, რადგან თუ სიძე დამნაშავე იყო, არ დაეფრთხო.

ბატონმა თენგიზმა, პირველ რიგში, გოგონას მონახულება და ექიმებთან გასაუბრება გადაწყვიტა, მაგრამ სიდედრმა ურჩია, ექიმების ნაცვლად, აჯობებს, ჩემი შვილის დაქალს გაესაუბრო, მანდ მუშაობს, მე მოვაწყვე და ფსიქიატრიულში შვილი, სწორედ მის იმედად მყავს დატოვებულიო. ეს უკეთესიც იყო და გამომძიებელი სწორედ პაციენტის დაქალთან მივიდა.

„გული მეწვის, ჩემს მეგობარს ველარ ვცნობ. ამას წინათაც იყო, დედამისს არ ვუთხარი, წამლები გამოვუწერეთ, მაგრამ არ უშველა. ამ ოჯახს კარგად კი არ ვიცნობ, მე მათი გაზრდილი ვარ, მიპატრონეს, თან გადამყვნენ... საქმროს მეც ვუწუნებდი, მაგრამ მშობლებს არ დაუჯერა და მე ვინ ვარ?! ისე, მაინც არ მგონია, ქმარი ყველაფერ ამას შეგნებულად აკეთებდეს, ამას შესაბამისი ცოდნა სჭირდება და შეგნებულად რომ აკეთებდეს, მაშინ ექიმებთანაც არ მიიყვანდა და დაელოდებოდა, როდის გაგიჟდებოდა“, – თქვა გოგონამ და მართალიც იყო – მეუღლე ყველაფერს აკეთებდა, ცოლისთვის რომ ეშველა. ყოველ შემთხვევაში, გარედან ასე ჩანდა.

სამართალდამცავებმა ქმრის გარემოცვის შესწავლა დაიწყეს, თუმცა საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინეს. მეგობრებმა თქვეს, ავტომობილისთვის აგროვებს ფულს, ოღონდ არ სურს, რომ ცოლის მშობლები დაეხმარონ, თავად უნდა ყიდვაო, რაც მასზე, როგორც დადებით პიროვნებაზე, მეტყველებდა. გადაწყდა, გოგოც დაეკითხათ და გაეგოთ, მართლა სჭირდა რამე, თუ ემოციური ფონი ჰქონდა.

„ღამით, სახლში, მუდმივად რაღაც ხმა მესმის, თითქოს სტვენის ხმაა, ოღონდ ისეთი, გულის გამაწვრილებელი. ეს ხმა ქმარს არ ესმის და ამიტომ მგონია, რომ ვგიჟდები. მეტიც, ერთ დღეს, ჩემთან დაქალიც დავტოვე, სწორედ ის, აქ რომ მპატრონობს და მის გვერდით დავწექი. ღამით ხმა ისევ მესმოდა, მას კი არა და ამიტომ, სამკურნალოდ მოსვლას დავთანხმდი“, – განაცხადა გოგონამ.

გამომძიებლები სხვა ექიმებსაც გაესაუბრნენ და მათაც ერთხმად თქვეს, რომ გოგონას აშკარად ნერვიული თუ ფსიქიკური აშლილობა ჰქონდა და რაც მთავარია, როგორც კი ის კლინიკაში მიდიოდა და შესაბამის მკურნალობას იწყებდა, ხმები აღარ ესმოდა და თითქოს, ცხოვრების ჩვეულ კალაპოტს უბრუნდებოდა, მაგრამ გაწერიდან რამდენიმე დღეში, ისევ იგივე მეორდებოდა.

წყვილმა დასასვენებლად წასვლაც კი გადაწყვიტა, საკუთარი სახლი იქირავა ზღვის პირზე, პირველ დღეს, ყველაფერი ნორმალურად იყო, მეორე დღეს კი კვლავ ის ხმები, რომლებიც მას დაძინების შესაძლებლობას არ აძლევდნენ და შეიძლება ითქვას, აგიჟებდნენ.

„ამ საქმეს ყველა მხრიდან მოვუარე, მაგრამ არაფერი გამოვიდა. მცირე ხელჩასაჭიდიც კი ვერ ვნახე, რომ ქმარი ცოლს შეგნებულად უკეთებდა იმას, რასაც უკეთებდა და რაც მთავარია, ამის საფუძველი თითქოს არ არსებობდა. იგივეს ამტკიცებდა დაქალი და დედის ეჭვები იმას მივაწერე, რომ არ სურდა, ერთადერთი შვილი ასეთ დღეში ენახა, ამიტომ ეძებდა ვინმეს, ვისაც ყველაფერს დააბრალებდა და ეს „ვინმე“, ამ შემთხვევაში, სიძე იყო. ამიტომ, პირდაპირ ვუთხარი, შენი ეჭვები უსაფუძვლოა-მეთქი“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ამჯერად, ექიმებს გადაწყვეტილი ჰქონდათ, გოგონა ფსიქიატრიულში ერთი თვე დაეტოვებინათ და დაქალი პირობას დებდა, ერთი თვე, მეც აქ ვიცხოვრებ, სახლში არ წავალო. გამომძიებელმა ექიმებს სთხოვა, როცა გაწერთ, დეტალური კვლევა ჩაუტარეთ და მომწერეთ, როგორ იქნება, განცხადება მიდევს მაგიდაზე და საქმეში უნდა ჩავაკრაო. ეს ისტორია, სავარაუდოდ, ასეც დასრულდებოდა, რომ არა ერთი სამართალდამცავის დაუდევრობა, რომელსაც გაჩერებული მანქანა დაუგორდა და მაღაზიის ვიტრინაში შევარდა. მთელი მილიცია ფეხზე დადგა და ბატონი თენგიზიც შემთხვევის ადგილისკენ გაეშურა, რათა სიტუაციაში გარკვეულიყო და ეს საქმე რაც შეიძლება მალე მიეჩქმალათ. იცოდნენ ხოლმე ასეთი ამბების დროულად „ჩაფარცხვა“. ჰოდა, გამომძიებელი ადგილზე ღამის ორ საათამდე შემორჩა და ის იყო, შინ წასვლა დააპირა, რომ წინ ტაქსმა ჩაუარა, რომლის უკანა სავარძელსაც განათების შუქი წამით მოხვდა, თუმცა ოპერმუშაკის გამოცდილმა მზერამ მგზავრი მაშინვე იცნო – გოგონას დაქალი, ფსიქიატრიულის თანამშრომელი, რომელიც იფიცებოდა, ერთი თვე, საავადმყოფოში ვიცხოვრებო. ბატონი თენგიზი ცოტა ხნით ჩაფიქრდა, ეგებ, მეგობარი დააძინა, სახლში კი ტანსაცმლის გამოსაცვლელად მივიდაო, მაგრამ ვერ მოისვენა, როგორც კი ტაქსმა კორპუსთან შეუხვია, გზა სწრაფი ნაბიჯით გადაჭრა და ეზოში შევიდა. გოგონა ტაქსიდან გადმოვიდა, სადარბაზოში მიიმალა და ის იყო, გამომძიებელი უკან გაბრუნებას აპირებდა, რომ ხის ჩრდილს მამაკაცის სილუეტი გამოეყო და ქალს უკან მიჰყვა. სამართალდამცავმა განმცხადებლის სიძე ამოიცნო. ადგილზე დგომას აზრი არ ჰქონდა, გამომძიებელი ტელეფონის უახლოეს აპარატთან მივიდა, განყოფილებაში დარეკა და 20 წუთში, მორიგე მანქანა ადგილზე მივიდა. ბატონმა თენგიზმა წყვილს მეთვალყურეები დაუტოვა, თავად კი სახლში წავიდა, რათა ცოტა მაინც დაეძინა, რომ მეორე დღეს, ენერგიულად ყოფილიყო.

ოპერმუშაკები განყოფილებაში გამთენიისას დაბრუნდნენ და თქვეს, რომ სადარბაზო ჯერ კაცმა დატოვა, შემდეგ – ქალმა და ერთი შინ წავიდა, მეორე – სამსახურში. მათი ახლა დაკითხვა და დაფრთხობა არ შეიძლებოდა, აშკარა იყო, სიდედრის ეჭვი უსაფუძვლო არ გახლდათ.

„ფსიქიატრიულში წავედი, გოგონას დაქალი ვინახულე, მკურნალობა კარგად მიდის, ყველაფერი რიგზე იქნებაო. ძალიან მშვიდად საუბრობდა და ისეთი უმწიკვლო სახით მიყურებდა, თითქოს წინა ღამე, უახლოესი მეგობრის ქმართან, მე გავატარე. მადლობა გადავუხადე, შევაქე მეგობრის ერთგულებისთვის და ისეთი სახით შემომხედა, ჩემს გონებრივ შესაძლებლობებში აშკარად ეჭვი შეეპარა. რაც მთავარია, სახეზე კმაყოფილება აესახა ანუ დარწმუნდა, რომ მასთან ზედმეტი კითხვები არ მქონდა. ჩემი მიზანიც ეს იყო“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ძალოვნებმა მამაკაცის ბინის ჩხრეკა გადაწყვიტეს, მაგრამ ისე, რომ კაცს არ გაეგო. როგორც მოსალოდნელი გახლდათ, სიდედრს ბინის მეორე გასაღები ჰქონდა (მისი ნაყიდი ბინა იყო და...). ამიტომ, როცა კაცი ბინიდან გავიდა, იქ ექსპერტ-კრიმინალისტები შევიდნენ. ბევრი ძებნა არც დასჭირვებიათ, სათავსოში, გაზეთების შეკვრებისა და შპალერის გრაგნილების უკან, მცირე ზომის აპარატი იპოვეს. ერთ-ერთმა ექსპერტმა დაბეჯითებით თქვა, ეს გერმანული აპარატია, გერმანელები სამამულო ომის დროს, პატიმრების გასაგიჟებლად იყენებდნენ, საოცარ ხმებს გამოსცემსო და აპარატი ჩართო. მართლაც, აპარატმა ისეთი ხმები გამოუშვა, ყველამ ყურებზე ხელი აიფარა. სიძისა და გოგონას დაქალის დაკავება მაშინვე გადაწყდა.

თავიდან ორივე მყარად იდგა, გვაბრალებთო, შემდეგ ქალი ალაპარაკდა, რადგან სასჯელის მაქსიმალურად შემსუბუქებას დაპირდნენ.

„მართალია, ამ ოჯახის მადლობელი ვიყავი, მაგრამ ჩემი დაქალის ქმარი შემიყვარდა. გულგრილი არც ის იყო და ჩუმად შეხვედრა დავიწყეთ, მაგრამ ზუსტად ვიცოდი, რომ სანამ ჩემი დაქალი ცოცხალი იქნებოდა, ჩვენს ურთიერთობას მომავალი არ ექნებოდა. გავლენიანი მშობლები, განქორწინების შემთხვევაშიც კი, გასაქანს არც მე მომცემდნენ და არც – სიძეს. ფსიქიატრიულის სარდაფში, შემთხვევით, ეს აპარატი აღმოაჩინეს, გადაგდება უნდოდათ, მაგრამ ვიცოდი, რაც იყო და შინ წამოვიღე, ჩემმა შეყვარებულმა შეაკეთა და გეგმაც მაშინ დაისახა. მას სპეციალურ წამლებს ვაძლევდი, ხმაზე რეაქცია რომ არ ჰქონოდა, გოგონას კი ესმოდა. თანაც, ტალღები ისეთია, ვერ გაიგებ, საიდან მოდის, ამიტომ ძებნას აზრი არ აქვს. საავადმყოფოში მძიმე ფსიქოტროპულებით ვმკურნალობდით და ადრე თუ გვიან, ყველაფერი ეს, ჯანმრთელობას დაუნგრევდა. ამასთან, ოჯახმა ჩემს დაქალს მთელი ძვირფასეულობა აჩუქა, რაც მისი გარდაცვალების შემთხვევაში, ქმრის საკუთრება გახდებოდა“,-აღიარა ქალმა.

მამაკაცს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, ქალს – პირობით სასჯელი აკმარეს და ეს იმიტომ, რომ მათ ქმედებას, რეალურად, მძიმე შედეგი არ მოჰყოლია.

ბათო ჯაფარიძე

მშობიარობის შემდეგ, ერთი კვირის განმავლობაში, ქალი, რომელიც დედა გახდა, თითქმის შეურაცხადად ითვლება. რა თქმა უნდა, თითქოს, მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობით, მაგრამ რეალურად, დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, დიდი შანსია, მას აფექტი და შეურაცხადობა დაუდგინონ. იშვიათად, მაგრამ მაინც არის შემთხვევები, როცა დედას ახალშობილთან გაუცხოვება ეწყება, თითქოს, ვერ გრძნობს, რომ მისი შვილია...

ახლად ნამშობიარევმა ქალმა გინეკოლოგი პალატაში მოკლა

ცნობილი მაღალჩინოსნის ოჯახური საიდუმლო

„თბილისის ერთ-ერთი სამშობიაროდან შეტყობინება შემოვიდა, ახლად ნამშობიარებმა ქალმა გინეკოლოგს არტერიაში ლანცეტი ჩაარტყა, მას სასწრაფო ოპერაცია უკეთდება, ქალს კი ძლივს აჩერებენო. არც კლინიკა იყო უბრალო და არც – გინეკოლოგი, ამ კაცს ძალიან კარგად იცნობდნენ და რაც მთავარია, მშობიარეც არ იყო რიგითი, მისი მეუღლე გავლენიანი ჩინოსანი გახლდათ. ამიტომ, შემთხვევის ადგილზე არა მარტო მე, სამინისტროს მაღალჩინოსნებიც მოვიდნენ“, – იხსენებს მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი და იმასაც ამბობს, რომ აღნიშნული ისტორია, სწორედ იმ ჩინოსნის გამო მიიჩქმალა და არ გახმაურდა. მიზეზი კი... მიზეზი ზედმეტად საინტერესო გახლდათ.

როგორც ადგილზე გაირკვა, მშობიარობამ ძალიან მძიმედ ჩაიარა, ბავშვი პრობლემებით გაჩნდა და მას სასწრაფო წესით, სისხლის გადასხმა დასჭირდა. საჭირო გახდა დედის ან მამის სისხლი, როცა ანალიზები გააკეთეს, გინეკოლოგი დედასთან შევიდა და... ინციდენტიც სწორედ მაშინ მოხდა – მაგიდაზე დაუდევრად დაგდებულ ლანცეტს ქალმა ხელი დაავლო და გინეკოლოგს არტერია გადაუჭრა. რატომ და რისთვის, არავინ იცოდა. ქალი გიჟის თვალებით იხედებოდა და მხოლოდ ორ სიტყვას გაჰკიოდა – „ბავშვი გადამირჩინეთ!“

საავადმყოფოს ეზოში ბოლთას სცემდა ჩინოსანი და სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა. მან არ იცოდა, რომ ადგილზე მისულმა სამართალდამცავებმა ყველაფერი მალევე გაარკვიეს. ის ბიჭის დაბადებას ეზოში აღნიშნავდა, როცა ჩოჩქოლი ატყდა, მერე მკლავი გაიშიშვლა, მეოთხე ჯგუფის სისხლი მაქვს და ბავშვს ან ჩემი სისხლი ექნება, ან დედისო... სწორედ ამის შემდეგ შევიდა გინეკოლოგი დედასთან და მოხდა ის, რაც მოხდა. თითქოს, უცნაური არაფერი იყო, მაგრამ... გინეკოლოგის გადარჩენა ვერ მოხერხდა, არტერია თითქმის ბოლომდე იყო გადაჭრილი და სისხლისგან დაიცალა. მკვლელობა – ეს იყო ერთადერთი ფრაზა, რომელიც ჰაერში მძიმედ დაეკიდა და ხმას ვერავინ იღებდა. სიტუაციას ისიც ამძიმებდა, რომ წყვილი შვილს 11 წელი ელოდა, აგერ, ნანატრი დღეც დადგა და ძალიან დიდი იყო შანსი, რომ სახლის ნაცვლად, დედა ციხეში წასულიყო. გამომძიებელმა პირდაპირი დავალება მიიღო მინისტრისგან – ქალი არ უნდა დაეკავებინათ და დაეწყოთ მიზეზის ძიება, რა შეიძლებოდა გამხდარიყო დედის ასეთი გარდასახვის მიზეზი, რადგან... ექთნები ამბობდნენ, მშობიარობის შემდეგ, ძალიან ადეკვატური იყო, ბედნიერებისგან ტიროდა, შვილი ლამის გალოკა, ისე უხაროდაო.

„ცუდ დღეში ჩავვარდი. ერთი მხრივ, ტიპური მკვლელობა მქონდა – განზრახ მკვლელობა, ცივი იარაღით, მეორეს მხრივ, არ მყავდა მოწმე, მაგრამ ქალი არ უარყოფდა, რომ მკვლელობა ჩაიდინა, თუმცა მიზეზს ვერ ხსნიდა, ასე ამბობდა, მეგონა, გინეკოლოგი მეუბნებოდა, შვილი უნდა მოგიკლაო. ეს, რა თქმა უნდა, გამორიცხული იყო, მაგრამ ფსიქოლოგები ცალკე მიმტკიცებდნენ, მშობიარობის შემდეგ, დედებს ბევრი რამ ეჩვენებათო და ესეც ერთ-ერთი „მოჩვენება“ უნდა ყოფილიყო“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

გამომძიებელს ისიც გასაგებად უთხრეს, რომ ყველაფერს თუ აფექტს დააბრალებდა და საქმეს დახურავდა, მოკლულის ოჯახის გაჩერება-გაჩუმებას საკუთარ თავზე ჩინოსანი იღებდა. სავარაუდოდ, საქმე დიდი ფულით გადაწყდებოდა, გარდა ამისა, მოკლული ექიმის შვილიც იმავე კლინიკაში მუშაობდა და დიდი ალბათობით, მას მამის ადგილზე გადაიყვანდნენ. ხდებოდა მაშინ ასეთი რაღაცები, ახლაც ხდება და ამიტომ, გამომძიებელი საქმეს სიფრთხილით შეუდგა. რაც მთავარია, ისე უნდა გაეკეთებინა ყველაფერი, რომ ძიების ხელმეორედ დაწყების შემთხვევაშიც კი, მოსადავებელი არაფერი ყოფილიყო. აი, აფექტი იდეალურ გამოსავლად ჩანდა, თუმცა ჯერ ყველაფერი კანონის მიხედვით უნდა გაკეთებულიყო და ამიტომ, მოკლული გინეკოლოგის ცხედარი ექსპერტიზაზე გადაასვენეს. როგორც მოსალოდნელი იყო, ექსპერტმა ახალი არაფერი თქვა, მამაკაცი არტერიაზე მიყენებული ჭრილობის შედეგად გარდაიცვალა. მანაც, როგორც მედიცინის მუშაკმა, გამომძიებელს დაუდასტურა, რომ მშობიარობის შემდეგ, შესაძლოა, დედებს მართლაც ჰქონდეთ რამე უცნაური გამოვლინება და ადეკვატურად არ მოიქცნენ.

საქმე დასახურად მზად იყო, გამომძიებელს მხოლოდ ექთნების ჩვენებები აკლდა, რომლებსაც რეალურად არაფერი დაუნახავთ, მაგრამ მაინც უნდა დაკითხულიყვნენ.

„პირველი მედდა მარტივად დავკითხე, არაფერი დაუნახავს, არაფერი გაუგონია, მეორე კი, რომელიც უშუალოდ ეხმარებოდა გინეკოლოგს, ცოტა არეული მეჩვენა. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ თითქოს რაღაც იცოდა და იმ რაღაცის თქმის ძალიან ეშინოდა. ამიტომ, ხან ერთი მხრიდან მოვუარე, ხან – მეორედან და როგორც იქნა, ამოთქვა. როცა ბავშვისთვის სისხლი უნდა გადაგვესხა, მამას ჯგუფი ვკითხეთ და მან მეოთხე თქვა, რამაც გინეკოლოგი გააოცა, მან კიდევ ორჯერ ჰკითხა მშობელს, დარწმუნებული ხარ, რომ მეოთხე ჯგუფის სისხლი გაქვსო და ჩინოვნიკმა ლამის შეაგინა, ერთხელ ნათქვამს რატომ ვერ იგებო. ჰოდა, მთელი ამბავიც ის არის, რომ მამას მეოთხე ჯგუფის სისხლი თუ აქვს, გამორიცხულია, შვილს პირველი ჯგუფის სისხლი ჰქონდეს (გამომძიებელს ზუსტად არ ახსოვს, პირველი და მეოთხე ჯგუფები მამისა თუ შვილის შემთხვევაში არ ემთხვევა, – რედ.). მგონია, რომ გინეკოლოგი ბავშვის დედასთან ამ ამბის გადასამოწმებლად და სათქმელად წავიდა“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

ეს ამბავი მთელ საქმეს თავდაყირა აყენებდა. იმის მიუხედავად, რომ გამომძიებელს მინისტრის მოადგილემ უთხრა, ყველაფერზე საქმის კურსში ჩამაყენეო, ამ ეტაპზე, მისთვის რამის თქმა საჭირო არ იყო. ბატონი თენგიზი ჩინოსნის სახლში იმ დროს მივიდა, როცა ოჯახის უფროსი შინ არ იყო. ქალმა შინ მშვიდად შეიპატიჟა და ძალოვანმაც ყოველგვარი შესავლის გარეშე ჰკითხა – „ბავშვის მამა ვინ არის?!“ კითხვა იმდენად მოულოდნელი და შოკისმომგვრელი იყო, ქალი კინაღამ სკამიდან გადმოვარდა, მერე ძალა მოიკრიბა, გამომძიებელს თვალებში ჯიქურ შეხედა და მტკიცედ თქვა – „ეგ თქვენი საქმე არ არის!“ თუმცა, მას მაშინვე განუმარტეს, რომ ეს ყველაფერი უკვე აფექტის მდგომარეობაში ჩადენილი მკვლელობა აღარ იქნებოდა, არამედ, განზრახ მკვლელობად გადააკვალიფიცირებდნენ, რისთვისაც სერიოზული სასჯელიც ელოდა. ქალმა თავი ჩაღუნა და დაიწყო:

„შვილი დიდი ხნის განმავლობაში არ გვყავდა, ყველგან ვიყავი სამკურნალოდ, მეუღლე კი, თანამდებობისა თუ სირცხვილის გამო, არ მომყვებოდა. ბოლოს, ისიც დავითანხმე, მითხრეს, რომ უშვილობის მიზეზი მეუღლე იყო და ბავშვი არასდროს გაუჩნდებოდა. შვილის აყვანა არ სურდა, რომ მეთქვა, უშვილობის მიზეზი შენ ხარ-მეთქი, გაგიჟდებოდა და ბავშვზე აღარ იფიქრებდა. ამიტომ, რაღაც ვიტამინები ვიყიდე, ექიმმა გამოგიწერა-მეთქი, მე კი იმაზე ვფიქრობდი, ვინ შეიძლებოდა გამხდარიყო ჩემი შვილის მამა. ჩავიტარე შესაბამისი კვლევები და კონკრეტულ დროს, ჩემი ქმრის მძღოლის ძმა დავიბარე შინ, ადრეც მოდიოდა ხოლმე, ჯანმრთელი კაცი იყო. მას მშვიდად ავუხსენი, რა მინდოდა, წინ 2 ათასი მანეთი დავუდე და ყველაფერი ძალიან მარტივად მოგვარდა. მან ზუსტად იცოდა, რომ სამომავლოდ ურთიერთობის გაგრძელების იმედი არ უნდა ჰქონოდა და თუ ხმას ამოიღებდა, შემეძლო, საერთოდ გამექრო. ჰოდა, ამ დროს, შემოდის გინეკოლოგი და მეუბნება, ეს ბავშვი შენი ქმრის არ არის და იცისო? მანდ გადამეკეტა და ლანცეტი ინსტიქტურად დავუსვი“...

გამომძიებელი ქალის აღიარებით მინისტრის მოადგილესთან წავიდა. მან გაოცებისგან პირი დააღო, მინისტრთან შევიდა, იქ უკვე მინისტრი გაოცდა და...

„ქალს პირობითი მსჯავრი მისცეს, ჩინოსანმა ყველაფერი მშვიდად მიიღო, ბოლომდე იჭიდავა, რომ ცოლი არ დაეკავებინათ, თუმცა მერე თქვეს, როგორც კი საქმე ჩაიფარცხა, ცალკე გადავიდა საცხოვრებლად, ცოლთან კავშირი გაწყვიტა, მაგრამ იმის გამო, რომ ნამდვილი კომუნისტი არ შეიძლებოდა ცოლსთან გაშორებული ყოფილიყო, ოფიციალური განქორწინება არ შედგა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნარკოდანაშაულისთვის შვიდი პირი დააკავა, მათ შორის, სამი ნარკორეალიზატორია

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტისა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა, თბილისსა და შიდა ქართლში ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნარკოდანაშაულისთვის შვიდი პირი დააკავეს, მათ შორის, სამი ნარკორეალიზატორია.

ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღებისა და გასაღების მცდელობის ბრალდებით, დაკავებულები არიან: 1993 წელს დაბადებული ნ.მ., 1992 წელს დაბადებული ხ.კ. და 1980 წელს დაბადებული ლ.ტ.

დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისთვის არიან დაკავებულნი 1993 წელს დაბადებული ლ.შ. და 1991 წელს დაბადებული ი.ა.

1963 წელს დაბადებული თ.გ. კი დაკავებულია განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვის, დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანის, ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვისა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფსიქოტროპული ნივთიერების საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით.

რაც შეეხება კიდევ ერთ ბრალდებულს, 1987 წელს დაბადებულ უცხო ქვეყნის მოქალაქე ფ.ზ.-ს, იგი სამართალდამცველებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანისთვის, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დააკავეს.

დანაშაულები 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ნარკორეალიზაციისთვის დაკავებული პირები ნარკოტიკულ საშუალებებს მოქალაქეებზე სისტემატურად ყიდდნენ. სამართალდამცველებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელეს ბრალდებულებისგან ნარკოტიკების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეოჩაწერა.

პოლიციამ, დაკავებული ნარკორეალიზატორების პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღო სარეალიზაციოდ დაფასოებული სხვადასხვა სახის განსაკუთრებთ დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებები და სავარაუდოდ, ნარკოტიკების გაყიდვის შედეგად მიღებული თანხა. ასევე, ბრალდებულების მითითებით ამოღებულია სხვადასხვა ლოკაციაზე შემდგომი გასაღების მიზნით განთავსებული ნარკოტიკი.

სამართალდამცველების მიერ ნივთმტკიცებად, ჯამში, ამოღებულია: 33 შეკვრა „კოკაინი“, 155 გრამი „მეტადონი“, 85 გრამზე მეტი „ჰეროინი“, 1 აბი ნარკოტიკული საშუალება „ექსტაზი“, 83 ფირფიტა ნარკოტიკული საშუალება „ლსდ“, 295 აბი „სუბუტექსი“, 1040 აბი „ოქსიკოდონი“ და 690 აბი „ლირიკა“.

გამოძიება დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღებისა და გასაღების მცდელობის, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა-შენახვისთვის, დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანის, ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფსიქოტროპული ნივთიერების საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტებზე მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე, 19-260-ე, 261-ე, 262-ე და 263-ე მუხლებით.

ნატოს საპარლამენტო ასამბლეის თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტის ვიზიტი 112-ში

შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ს ნატოს საპარლამენტო ასამბლეის თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტის, სამომავლო უსაფრთხოებისა და თავდაცვის შესაძლებლობების ქვეკომიტეტის დელეგაცია ესტუმრა.

„112“-ის დირექტორი, გიორგი არსოშვილი დელეგაციის წარმომადგენლებს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესახებ ესაუბრა.

სტუმრები ადგილზე გაეცნენ „112“-ის მუშაობის სპეციფიკას, კერძოდ, გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მოქმედი ვიდეომეთვალყურეობის სისტემისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლისთვის დანერგილი ელექტრონული მონიტორინგის პროცესებს.

საპატიმროში მომხდარი მკვლელობა გახსნილია

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, პენიტენციურ დაწესებულებაში, პატიმრებს შორს ჩხუბის დროს მომხდარი მკვლელობის ფაქტი გახსნა, – ამის შესახებ სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში გამართულ ბრიფინგზე განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელმა განაცხადა.

ქეთევან თეთრაულის თქმით, გამოძიებით დადგინდა, რომ 2021 წლის 26 ივლისს, N17-ე პენიტენციური დაწესებულების პატიმარ ი.ჩ-ს, საკანში, ყოფით ნიადაგზე სიტყვიერი შელაპარაკება მოუხდა ამავე დაწესებულების პატიმარ შ.ა.-თან, რაც მათ შორის ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

საგამოძიებო უწყების ინფორმაციით, დანაშაულში მხილებულმა პატიმარმა ჩხუბის დროს, შურისძიების მოტივით, მასთან დაპირისპირებაში მყოფი პატიმარი შ.ა. შებოჭა და მოკვლის განზრახვით, მეტალის კორპუსის მქონე მაგიდასა და იატაკზე ძლიერად დაახეთქა. განხორციელებული ძალადობის შედეგად, პატიმარმა თავის სხვადასხვა არეში სიცოცხლისთვის შეუთავსებელი დაზიანებები მიიღო და შემთხვევიდან რამდენიმე წუთში, №17-ე დაწესებულების სამედიცინო პუნქტში, სამედიცინო დახმარების გაწევის მიუხედავად გარდაიცვალა.

„აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება 2021 წლის 26 ივლისს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა დაიწყო და ყველა აუცილებელი საგამოძიებო მოქმედება ჩაატარა, ხოლო 2022 წლის პირველი მარტიდან საქმეზე გამოძიება სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა გააგრძელა. გამოძიების პროცესში დათვალიერებული შემთხვევის ადგილიდან ამოღებული იქნა ბიოლოგიური მასალის ნიმუშები, ანაწმენდები და სხვა ნივთიერი მტკიცებულებები. გამოიკითხა 100-მდე პირი, მათ შორის – სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლები, პატიმრები, სამედიცინო ექსპერტი და საქმესთან შემხებლობაში მყოფი სხვა პირები. ასევე, საგამოძიებო ვერსიის გადამოწმების მიზნით, №17-ე პენიტენციურ დაწესებულებაში ჩატარდა საგამოძიებო ექსპერიმენტი. ამავე დაწესებულებაში განთავსებული სამეთვალყურეო ვიდეოკამერების ჩანაწერები გამოთხოვილი იქნა სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან. ასევე, სასამართლო-სამედიცინო, კომპლექსური გენეტიკურ-ბიოლოგიური, მიკრონაწილაკური, დაქტილოსკოპიური, ტრასოლოგიური და სამედიცინო – კრიმინალისტიკური ექსპერტიზები ჩატარდა „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში“.

მკვლელობის ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად, მნიშვნელოვანი მტკიცებულებების მოპოვების შემდეგ, ბრალდებული პატიმრის მიმართ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის, გამოტანილია ბრალდების დადგენილება“, – განაცხადა ბრიფინგზე გამომძიებელმა.

დააკავეს მედდა, რომელიც თანხის სანაცვლოდ, აუცრელ პირებს სისტემაში ვაქცინირებულად არეგისტრირებდა

სამეგრელოში დააკავეს მედდა, რომელიც მოქალაქეებს, კლინიკაში მიუსვლელად აფიქსირებდა, როგორც ვაქცინირებულ პირებს. ამის შესახებ ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური ავრცელებს.

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების მიერ, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამეგრელოს რეგიონში დაკავებულ იქნა სამედიცინო დაწესებულების მედდა, რომელიც სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას, დაინტერესებულ მოქალაქეებს, კლინიკაში მიუსვლელად აფიქსირებდა იმუნიზაციის მართვის ელექტრონულ მოდულში როგორც ვაქცინირებულ პირს, რის სანაცვლოდაც, პირადი სარგებლის სახით, იღებდა მათგან გარკვეულ თანხას.

დანაშაულში უკვე მხილებულია თხუთმეტი მოქალაქე, რომლებიც თავის მხრივ, ხსენებული ბრალდებულისათვის თანხის – 300 ლარამდე გადახდის სანაცვლოდ, დარღვევით დარეგისტრირდნენ როგორც ვაქცინირებული პირები. წინასწარი მონაცემებით, აღნიშნული დანაშაულებრივი გზით, იმუნიზაციის მართვის ელექტრონულ მოდულში დარეგისტრირებულია დამატებით ათეულობით პირი, რომელთა დადგენა-მხილების მიზნითაც ტარდება შესაბამისი ღონისძიებები. საქმეზე გამოძიება გრძელდება საქართველოს სსკ 220-ე და 221-ე მუხლებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3-დან 5 წლამდე ვადით“, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

ისევ ხვიჩა და სრული სიგიჟე „ნაპოლში“

ხვიჩა კვარაცხელია იტალიური „ნაპოლის“ ფეხბურთელია. მართალია, ჯერ ოფიციალური კონტრაქტი არ გაფორმებულა, მაგრამ ჩვენებური უკვე იტალიაშია, სამედიცინო შემოწმებაც დღე-დღეზე უნდა გაიაროს და მისი წარდგენაც პომპეზურად იგეგმება. პრინციპში, რაღა პომპეზურად – წელს, „ნაპოლიმ“ ქვეყნის თასი რომ მოიგო, გუნდის ოფიციალურ საიტზე, ამ ტრიუმფის ამსახველ ფოტოს 20 ათასი მოწონება ჰქონდა, ხვიჩას გადასვლის ამბავს კი... 38 ათასი.

Il nuovo „incubo“ per i difensori Italiani – „ახალი კოშმარი იტალიელი მცველებისთვის“ – სწორედ ასე წერია იტალიურ გამოცემებში და ამ მინაწერს თან კვარაცხელიას ვიდეოც ერთვის, სადაც ის ბურთით საოცრებებს სჩადის და მცველებს აბითურებს.

საინტერესო კი ის გახლავთ, რომ იტალიურ გუნდში, შესაძლოა, კრიშტიანუ რონალდუც გადავიდეს. პორტუგალიელი „მანჩესტერში“ ყოფნით უკმაყოფილოა და კარიერის გაგრძელება ისეთ კლუბში სურს, რომელიც ჩემპიონთა ლიგაზე ითამაშებს. ჰოდა, ამ ინფორმაციას, ნეაპოლური კლუბის გულშემატკივრები სიხარულით არ შეხვდნენ, ბებერი რონალდუ რად გვინდა, როცა ხვიჩა გვყავსო. სპეციალისტები კი იმასაც წერენ, რომ თუ რონალდუ „ნაპოლიში“ მართლაც გადავა, ძალიან დიდია იმის შანსი, რომ ხვიჩამ ის სათადარიგოთა სკამზე დასვას.

ბოლოს როდის იყო ასეთი აჟიოტაჟი ატეხილი არათუ ქართველ ფეხბურთელზე, არამედ, ზოგადად, ახალგაზრდა ტალანტზე, ვერ ვიხსენებთ და იმედია, ხვიჩა მოლოდინს სრულად გაამართლებს.

კვირკველია კარიერას აზერბაიჯანში გააგრძელებს

საქართველოს ნაკრების მცველი, საბა კვირკველია კარიერას აზერბაიჯანულ „ნეფთჩიში“ გააგრძელებს. ერთი შეხედვით, ეს ჩვეულებრივი ტრანსფერია, მაგრამ...

უკრაინა-რუსეთის ომის დაწყების შემდეგ, სხვა ლეგიონერების მსგავსად, რუსეთიდან საბაც წამოვიდა და კარიერა საქართველოში, „გაგრაში“ გააგრძელა. დიდი პატივისცემის მიუხედავად, არაა „გაგრა“ ის გუნდი, რომელიც კვირკველიას დონის მოთამაშის შენახვას შეძლებს და გულშემატკივართა დიდი ნაწილი ელოდა, რომ დამაჯერებელი ასპარეზობის შემდეგ, მას ან თბილისის „დინამო“ გადაიბირებდა, ან ბათუმის „დინამო“ დაიმატებდა და საბას გამოცდილება ევროთასებზე ორივე კლუბს ძალიან წაადგებოდა, თუმცა... ფეხბურთელს შეთავაზება არცერთი ქართული კლუბიდან არ მიუღია და ის კარიერას ბაქოს „ნეფთჩიში“ გააგრძელებს. ორწლიან კონტრაქტს ხელი უკვე მოეწერა და აზერბაიჯანული მხარე ძალიან ბედნიერია, კონფერენს-ლიგის მატჩების წინ, კვირკველიას დარი გამოცდილების მქონე ფეხბურთელის დამატება ძალიან კარგიაო... ევროთასებზე გამოსვლას ამ კვირაში ქართული კლუბებიც იწყებენ.

ქეცბაია კვიპროსში ორი წლით დაინიშნა

საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი თავკაცი, თემურ ქეცბაია უახლოესი ორი წლის განმავლობაში, კვიპროსის ნაკრებს გაწვრთნის. მისი თანაშემწე, როგორც, პრაქტიკულად, მთელი სამწვრთნელო კარიერის მანძილზე, სოსო ჭედია იქნება. როგორც კვიპროსული მედია წერს, ქეცბაია წლიურ ჯამაგირად 200 ათას ევროს მიიღებს, მიზანი კი კონკურენტუნარიანი გუნდის ჩამოყალიბებაა.

იმავე კვიპროსული მედიის ინფორმაციით, კონტრაქტში ჩაიწერა მუხლი, რომლის მიხედვითაც, თუ ქეცბაიას რომელიმე სოლიდური კლუბი შესთავაზებს სამუშაოს, მას უფლება ექნება, კონტრაქტი ცალმხრივად გაწყვიტოს და ამის გამო, კომპენსაციის გადახდა არ მოუწევს.

შეურაცხყოფა მოედანზე და მოედნის გარეთ – ვინმემ ხმა უნდა ამოიღოს

შორიდან დავიწყოთ... უფრო ზუსტად, ძალიან შორიდან. 1979 წლის აგვისტოში, ავიაკატასტროფაში, ტაშკენტის საფეხბურთო გუნდი „ფახთაქორის“ წევრები დაიღუპნენ. ლაინერის ჩამოვარდნას 17 ფეხბურთელი, მთავარი მწვრთნელი და ადმინისტრაციის წევრები შეეწირნენ. საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ, უზბეკური კლუბი სხვადასხვა გუნდის მოთამაშეებით დააკომპლექტა (მაშინ „ფახთაქორში“ თბილისის დინამოდან ზურაბ წერეთელი წავიდა, ერთი წლის შემდეგ – მანუჩარ მაჩაიძე) და ორწლიანი მწვანე ბარათიც მისცა – შედეგის მიუხედავად, „ფახთაქორი“ უმაღლესი ლიგიდან არ გავარდებოდა. ტრაგედიის შემდეგ, „ფახთაქორმა“ პირველი შეხვედრა ერევანში, „არარატთან“ გამართა. სომხებმა უზბეკებს მიუსამძიმრეს, წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს დაღუპულთა ხსოვნას და... სტუმრებს 3:1 მოუგეს. იმავე ტრაგედიის შემდეგ, „ფახთაქორს“ პირველი საშინაო მატჩი თბილისის „დინამოსთან“ ჰქონდა. ტაშკენტში, გადაჭედილ სტადიონზე, „დინამომ“ 2:1 წააგო, წააგო შეგნებულად და ნამატჩევს თქვა კიდეც გუნდის ლიდერმა, დავით ყიფიანმა, აქ მოსაგებად არ ჩამოვსულვართო...

2 ივლისს, საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრები უკრაინასთან დამარცხდა. უკრაინაში მიმდინარე ომის გამო, შეხვედრა ლატვიის დედაქალაქ რიგაში ჩატარდა ანუ ტრიბუნებზე ნეიტრალური გულშემატკივარი სჭარბობდნენ. წავაგეთ მატჩი, რომელიც ყველა პროგნოზით უნდა მოგვეგო, უცხოურ ტოტალიზატორებშიც კი, აშკარა ფავორიტები ვიყავით. ეს იმის გათვალისწინებით, რომ გუნდში გვყავდა ყველა უძლიერესი კალათბურთელი, მათ შორის, NBA-დან ჩამოსული გოგა ბითაძე. ბითაძეს არ უთამაშია, მცირე ტრავმა ჰქონდაო, მაგრამ, ამის მიუხედავად, უნდა მოგვეგო. უკრაინელებს ყველაფერთან ერთად, ხუთი წამყვანი მოთამაშე აკლდათ... კარგი, წავაგეთ და ბევრმა ჩათვალა, რომ შეგნებულად წავაგეთ, თუმცა ნამატჩევს, მეტოქე გუნდის თავკაცმა, აინარს ბაგაცკისმა ჩვენი გუნდის მისამართით უხამსი ჟესტი გააკეთა. მართალია, ჩვენი კალათბურთელები გაბრაზდნენ, ფიცარნაგზე ფედერაციის პრეზიდენტი და საქართველოს პარლამენტის წევრი, ვიქტორ სანიკიძეც ჩავიდა, მაგრამ ამით არაფერი შეიცვალა, არც ბაგაცკისს და არც უკრაინელ კალათბურთელებს, ბოდიშის მოხდა არ უცდიათ. ნამატჩევს, უკრაინის ფედერაციის პრეზიდენტმა მოიბოდიშაო, სანიკიძემ გვითხრა.

ყველაზე ამაზრზენი კი ის გახლდათ, რომ სოციალურ ქსელში არაერთმა ადამიანმა დაწერა, უკრაინას ვქომაგობდი და ძალიან კარგი, რაც ბაგაცკისმა გააკეთაო. არადა, პირიქით რომ მომხდარიყო, ხომ წარმოგიდგენიათ, აქაური გულშემატკივრები რას იზამდნენ, როგორ მოუწოდებდნენ ხელისუფლებას, ბოდიში პრემიერის დონეზე მოეხადა. ბევრმა ისიც თქვა, ბაგაცკისი უკრაინელი არ არის, ლატვიელიაო. და მერე, რა? ჩვენი მწვრთნელიც ბერძენია და მას რომ ანალოგიური რამ ექნა, საბერძნეთის კრიტიკას დაიწყებდნენ?! ამიტომ, როცა მოსაგები გაქვს, უნდა მოიგო და ბურთის ნაცვლად, სხვა რამის თამაშს, სარგებელი არასდროს, არავისთვის მოუტანია.

მოფარიკაველები მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოვლენ

არც თუ დიდი ხნის წინ, ცოტა არ იყოს უცნაური რამ მოხდა მოკრივეთა მიმართებაში. როგორც ამბობენ, სამინისტროსთან არსებული უთანხმოების გამო, საქართველოს კრივის ფედერაციას ფინანსები გაუნულეს და ისინი ტურნირებზე მონაწილეობას ჯერჯერობით ვერ მიიღებენ. არადა, სამიოდე კვირის წინ, მოკრივეებმა ევროპის ჩემპიონატზე ისტორიული შედეგი დადეს და ოქროს მედლები მოიპოვეს.

15-23 ივლისს, ეგვიპტის დედაქალაქში, მოფარიკავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი იმართება. ჰოდა, გაირკვა, რომ მოკრივეთა დარად, ბიუჯეტი მოფარიკაველებსაც გაუნულეს და ესეც გასაოცარი იყო – ორი კვირის წინ, სანდრო ბაზაძე ევროპის ჩემპიონი გახდა და დამოუკიდებელი საქართველოს ისტორია გადაწერა. საბედნიეროდ, ფედერაციამ და სამინისტრომ შეთანხმება მოახერხეს და ქაიროში, 10 მოფარიკავე წავა. მათთან ერთად იქნება ნაკრების მწვრთნელი და დელეგაციის ხელმძღვანელი. ამასთან ერთად, ნაკრების კაპიტანი და ლიდერი სანდრო ბაზაძე მსოფლიო პირველობისთვის, სპეციალური პროგრამით მოსამზადებლად, უკვე პარიზშია.

ვერატის წართმეული 3 მილიონი დაუბრუნეს



იმის მიუხედავად, რომ ვეტერანია, ლეგენდარული ბრაზილიელი ფეხბურთელი რონალდო ახალი თაობის მოთამაშეებთან კარგ დამოკიდებულებას ინარჩუნებს და ბევრ მათგანთან მეგობრობს. ჰოდა, არავის უკვირს, როცა იბიცაზე მდებარე რონალდოს ვილაში, ხან ერთი მოთამაშე ისვენებს ოჯახით, ხან მეორე. ასე იყო ამჯერადაც, რონალდომ სახლი პსჟ-ს იტალიელ ლეგიონერს, მარკო ვერატის დაუთმო. ვერატი რონალდოს სახლში ცოლ-შვილთან ერთად ისვენებდა, რა დროსაც თავს მძარცველები დაესხნენ და დიდი კუშიც წაიღეს. ფეხბურთელის ინფორმაციით, საერთო ჯამში, ნაღდი ფულისა და ძვირფასეულობის გათვალისწინებით, მძარცველებმა ვერატი 3 მილიონი ევროთი აზარალეს.

როგორც წესი, ასეთი საქმეები იშვიათად იხსნება ხოლმე, მაგრამ საქმეში რონალდოც ჩაერთო, ესპანეთის მთელი პოლიცია ფეხზე დადგა და მძარცველები (სამი მამაკაცი და ერთი ქალი) მალაგაში დააკავეს. ვერატისთვის წართმეული 3 მილიონის გარდა, დაკავებულთა სახლში კიდევ არაერთი ძვირფასი ნივთი ნახეს და ახლა იმის ძიება მიდის, კიდევ ვინ გაძარცვეს თავდამსხმელებმა.

თათია გოჩაძე
598-43-50-34

რის გამო დაჯდება ეშმაკთან მოლაპარაკებაზე გიორგი ფხაკაძე

„ახლა ვართ ჯოგური იმუნიტეტის გამომუშავების პროცესში, რომელიც გვიცავს ხუთი თვე“

ჯანდაცვის მსოფლიო ექსპერტი, გიორგი ფხაკაძე თბილისშია და რამდენიმე დღის წინ, მედიის წარმომადგენლებს საკუთარ სახლში, ძველი თბილისის ერთ-ერთ გამორჩეულ ადგილას გვიმასპინძლა. ციხე-სახლი, რომელსაც თამამად შეიძლება მუზეუმიც ეწოდოს, რამდენიმე საუკუნეს ითვლის. როგორც ფხაკაძემ გვიამბო, ყველა ნივთი, რომელიც მის სახლშია, მსოფლიოს არაერთი კუთხიდან აქვს ჩამოტანილი. Castle in Old Town-ის ინტერიერს მე-20 საუკუნის დასაწყისის საფრანგეთში მიჰყავხართ და აქ კიდევ ერთხელ რწმუნდებით, როგორ ერწყმის ერთმანეთს ევროპული და აღმოსავლური კულტურა საქართველოში. გიორგი ფხაკაძე საუკეთესო მასპინძელი აღმოჩნდა და ჭიქა ღვინის თანხლებით, ინტერვიუც ჩავწერე, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

– ბატონო გიორგი, რატომ ჩამოხვედით საქართველოში?

– მარტივი მიზეზის გამო, სამჯერ ვარ აცრილი და კორონავირუსის ყველაზე ბოლო ვარიანტით დავინფიცირდი. შესაბამისად, დაცული ვიქნები 3-4 თვე, აქამდე, უსაფრთხოების გამო არ ჩამოვდიოდი, რადგან აქ ხომ პირბადეს არავინ იკეთებს...

– კეთილი, ახლა ეპიდვითარებაზეც ვისაუბროთ... აქ თითქმის ყველას აქვს განცდა, რომ პანდემია დასრულდა. ეს სიმართლეა? რა ვითარებაა მსოფლიოში?

– კორონაპანდემია არ დამთავრებულა. საფრანგეთში დამემართა კორონა, რადგან იქ დღეში, დაახლოებით, 30 000 ადამიანი ინფიცირდება. გერმანიაში – 50 000-მდე ადამიანი, ასევე, დიდი მაჩვენებელია აშშ-ში და ა.შ. მოკლედ, ვირუსის აფეთქება დაიწყო ისევ ყველგან. აფეთქებაა იმ ადამიანებში, რომელთა აცრიდან ექვს თვეზე მეტია გასული. ესეც კიდევ ერთი მანიშნებელია იმისა, რომ, სამწუხაროდ, არსებული ვაქცინები გვიცავს მაქსიმუმ ექვსი თვე. რა თქმა უნდა, ეს ნიშნავს, რომ 60 წელს გადაცილებული ადამიანებისთვის საკმაოდ საშიში გამოწვევაა და ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ ამ ასაკის ადამიანები იყვნენ აცრილნი.

საქართველოში, სამწუხაროდ, ახლა არის კოვიდაფეთქება, რომელსაც ე.წ. სეზონურ გრიპს უწოდებენ. ჩემს კოლეგებს როცა ვუსმენ, ზოგჯერ მეცინება, რადგან რასაც ჩამოთვლიან ხოლმე, ეს კოვიდის ნიშნებია. ზოგადად, სეზონური გრიპი ვრცელდება ზამთარში და არა შუა ზაფხულში. ეს არის ჩვეულებრივი კოვიდი და უმრავლეს შემთხვევაში, ახალგაზრდებს უფრო იოლად გადააქვთ, მაგრამ ვინც აცრილი არაა სამჯერ, ეფექტური ვაქცინებით, მათ გადააქვთ შედარებით რთულად და 60 წელს გადაცილებულებში, სამწუხაროდ, ხდება ლეტალური შემთხვევებიც.

– საქართველოს ეპიდვითარების მართვის პროცესს ადევნებთ თვალს? მიაღწია ვაქცინაციის რიცხვმა იმ დონეს, როცა შეგვიძლია, შედარებით დაცულად ვიგრძნოთ თავი?

– მეგობარმა მითხრა, საქართველო რა უცნაური ქვეყანაა, „კოვიდი არ არისო“. როცა ხარ უმძიმეს სიტუაციაში, თავს აჯერებ, რომ კოვიდი აღარაა. საზოგადოება ძალიან დაიღალა არა მარტო საქართველოში, არამედ, მთელ მსოფლიოში და ამიტომაცაა ეს აფეთქებები. ხალხს ჩახუტება, ურთიერთობები უნდა. მსოფლიო „ლოქდაუნებზე“ უკვე აღარ წავა. „ლოქდაუნების“ სერია დამთავრებულია. ახლა მე „ლოქდაუნის“ წინააღმდეგი ვარ, რადგანაც როცა იცი, როგორია შენი მტერი, გაქვს წამალი, ვაქცინა და იცი, როგორ მართო, რატომ უნდა შემოიღო „ლოქდაუნი“?

– თქვენი რეკომენდაციით, რა უნდა გაკეთდეს საქართველოში, პანდემიის ეფექტურად სამართავად?

– 60 წელს გადაცილებული ადამიანები უნდა იყვნენ „ფაიზერით“ აცრილნი და კარგი იქნება, თუ „მოდერნას“ ჩამოიტანენ, ევროპა გადავიდა „მოდერნაზე“. 60 წელს გადაცილებულმა ადამიანმა უნდა გამოიყენოს პირბადე იმიტომ, რომ ლეტალობის რისკქვეშაა. პირბადე უნდა გამოიყენონ, ასევე, ფეხმძიმეებმა და უნდა აიცრან, რაც შეიძლება, მალე.

– თქვენი გათვლით, როდის იქნება საქართველოში შემდეგი კოვიდტალღა?

– ყველა ამბობს, საავადმყოფოები სავსეა, გავცივდი, ზურგი მტკივაო, ყველა ეს სიმპტომი კი ნორმალურია ზამთრისთვის. ჩვენ ახლა ვართ ჯოგური, პოპულაციური იმუნიტეტის გამომუშავების პროცესში, რომელიც გვიცავს ხუთი თვე. ამ მომენტიდან უნდა გადავთვალოთ ხუთი თვე ანუ ნოემბერში იქნება შემდეგი ტალღა. ეს იქნება უფრო რთული, რადგან იქნება ზამთრის დასაწყისი, კოვიდს დაემატება სეზონური გრიპი და შესაძლებელია, კოვიდის ახალი ვარიანტიც გაჩნდეს.

– ბატონო გიორგი, რა სიახლეა კოვიდის საწინააღმდეგო წამლებთან დაკავშირებით?

– არის რამდენიმე წამალი, მაგრამ არც ერთი აბსოლუტურად ეფექტური არაა.

– როგორ აფასებთ პრეპარატ „პაქსლოვიდს“, რომელიც საქართველოში უკვე შემოტანილია?

– ეს „ფაიზერის“ წამალია, მაგრამ ამ წამლის წინააღმდეგი ვარ, რადგან ძალიან რთულია. ჯერ ერთი, დაინფიცირებიდან პირველ სამ დღეში უნდა დაიწყო ამ წამლის მიღება და ადამიანს არ უნდა ჰქონდეს ქრონიკული დაავადებები, რადგან უკუჩვენებები აქვს. საქართველოში კი ჯანდაცვის სისტემა ძალიან მძიმე მდგომარეობაშია და ბევრს აქვს ქრონიკული დაავადება. ამასთან, ჩვენი ექიმები არ არიან მომზადებულნი ახალი წამლების ასე სწრაფად ფართო სპექტრით გამოსაყენებლად, რადგან უწყვეტი სამედიცინო განათლება ქვეყანაში არ არსებობს.

– რადგან ჯანდაცვის სტანდარტებს შეეხეთ, გკითხავთ... დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის არმინიჭებამ საქართველოსთვის. რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ჩვენი ჯანდაცვის სისტემა ევროკავშირის სტანდარტებს მიუახლოვდეს?

– ჩვენ გვაქვს საშუალოზე დაბალი, აზიისა და აფრიკის ქვეყნების დონის ჯანდაცვის სისტემა. საქართველოში არაა უწყვეტი სამედიცინო განათლება და აკრედიტაციის სისტემა, რაც შევთავაზე სახელმწიფოს, დავიწყე დამოუკიდებელი აკრედიტაციის სისტემის გაკეთება, მაგრამ ამას ყველა ეწინააღმდეგება.

– ვინ და რატომ გეწინააღმდეგებათ?

– სამინისტრო. ამბობენ, ჩვენ ამერიკული სტანდარტი გვინდაო, რაც აბსურდია. ამერიკული სტანდარტი საქართველოში კიდევ დიდხანს ვერ იქნება იმიტომ, რომ ამას სჭირდება დაფინანსება, სწავლება ანუ ძვირია ამერიკული სტანდარტი. როცა ამბობ, ექიმებს ამერიკული სტანდარტით შევამოწმებო, მაშინ 100 000 დოლარი უნდა გადაუხადო ხელფასი. უწყვეტი სამედიცინო განათლება უნდა ჰქონდეს გავლილი, ეს ყველაფერი კი ჩვენ არ გვაქვს.

– და რა უნდა მოხდეს, რომ ყველაფერი ეს, საქართველოში გვქონდეს?

– იმედი მაქვს, რომ გავხდებით ევროკავშირის წევრი, რადგან ეს იქნება ერთ-ერთი აქსელერატორი, რომ ყველაფერი ეს, წინ წავიდეს. სისტემაში, რომელშიც ახლა ვართ, ველარ ვიქნებით და სიტუაცია გაუმჯობესდება. ამისთვის უნდა გატარდეს რადიკალური რეფორმა ჯანდაცვის სფეროში. ახლა ისეთ უმძიმესი მდგომარეობაა საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში, რომ ამას სჭირდება რადიკალური ცვლილებები. ჩვენ გვინდა „შოკური თერაპია“ და ვინც ამას გააკეთებს, დამერწმუნეთ, ანათემაზე გადასცემენ, მაგრამ ვიღაცამ უნდა მოჰკიდოს ამას ხელი და გააკეთოს... ჯანდაცვის მინისტრი უნდა იყოს აპოლიტიკური. მას უნდა მიეცეს თანხა ბიუჯეტიდან, შეჯერებული სტრატეგია და აკეთოს საქმე. ამ შემთხვევაში, გიორგი ფხაკაძე მოვა და დაგეხმარებათ.

– თქვენი აზრით, ეს როდის მოხდება საქართველოში?

– იმედი მაქვს ევროპისკენ მიმავალი გზისა, რომელიც ჩვენი ქვეყნის უმრავლესობამ აირჩია. მე ვარ 100%-იანი ევროპელი, რადგან ნახევრად ქართველი, ნახევრად უკრაინელი გახლავართ და ვცხოვრობ შუაგულ ევროპაში, პარიზში. ვოცნებობ, რომ საქართველო იყოს ევროპაში და მე, გიორგი ფხაკაძე, ყველაფერს გავაკეთებ, რომ ჩვენ ვიყოთ ევროპაში, მაგრამ ერთი ადამიანი ამ საქმეს ვერ გააკეთებს. ამას სჭირდება კონსენსუსი, ერთობა და სიბრძნე. სიბრძნე გვაკლია, ვჩხუბობთ იმაზე, რაზეც არ უნდა ვჩხუბობდეთ, ტყუილად ვხარჯავთ ენერგიას, როცა სხვა პრიორიტეტები გვაქვს და ესენია ჯანდაცვა, სიღარიბის აღმოფხვრა და განათლება. ეს ყველაფერი ერთმანეთთანაა მიბმული. ევროპა არის ერთადერთი გზა, რომელიც დაგვეხმარება ყველაფერ ამის გაკეთებაში. თუ იქნება მოთხოვნა, გიორგი ფხაკაძე ყოველთვის არის საქართველოსთვის და ეშმაკსაც კი დავუჯდები მოსალაპარაკებლად, ოღონდ, საქართველო იყოს წინ და იყოს ევროპაში! ყოველთვის ღია ვარ დიალოგისთვის, მაგრამ დიალოგში ვერ შევალ ადამიანთან, რომელიც იტყვის, რომ საქართველო უნდა წავიდეს რუსეთში, ეს გამორიცხულია! ეს წითელი კი არა, შავი ხაზია! ევროპისკენ კი ყველასთან დავჯდები მოსალაპარაკებლად, ოღონდ საქართველო წავიდეს წინ!

ჩიწაკიანი ნაყინი – უფასოდ

პატარა იაპონურ დასახლება ხირატაში, რომელიც ფუკუსიმას პრეფექტურაშია, ტურისტებს ნაღების ნაყინს მწარე წიწაკა „ჰაბანეროს“ დამატებით სთავაზობენ. საქმე ისაა, რომ მწარე წიწაკის მომყვანებმა გასაღების ბაზარი ვერ იპოვეს, ამიტომ ფერმერებმა გადაწყვიტეს, ტურისტებისთვის რეალითი-შოუ მოაწყონ და ბოსტნეული ნაყინის ინგრედიენტად შესთავაზონ. ამ ცივი დესერტის გამყიდველები, რომლებიც დამცავი სათვალითა და ხელთათმანებით არიან აღჭურვილები, კლიენტებს ნაყინზე დაფქვილ „ჰაბანეროს“ უყრიან, იმის გათვალისწინებით, ვის როგორი ხარისხის სიმწარე სურს გასინჯოს. ნაყინი 500 იენი ღირს, ყველაზე გაბედული მყიდველი კი, რომელიც ნაყინს წიწაკის ჯოჯოხეთური (ძალიან მწარე) პორციით მიირთმევს, ცივ დესერტს უფასოდ მიიღებს.

სალონში თავის ორჯერ დაბანა აკრძალეს

იტალიაში, ემილია-რომანიას რეგიონში მდებარე ქალაქ კასტენაზოს მერმა სტილისტებს კლიენტებისთვის თავის ორჯერ დაბანა აუკრძალა. დამრღვევებს 500 ევრომდე ჯარიმის გადახდა ემუქრებათ. ეს შეზღუდვა ქვეყანაში, ბოლო 70 წლის განმავლობაში, უძლიერესი გვალვის გამო შემოიღეს. ქალაქის ადმინისტრაცია ამტკიცებს, რომ გამდინარე წყლით ორჯერ თმის დაბანას 20 ლიტრზე მეტი წყალი სჭირდება. გარდა ამისა, ღია ონკანიდან, ერთ წუთში 13 ლიტრი წყალი გაედინება. აღსანიშნავია, რომ 16-ათასიანი მოსახლეობის მქონე კასტენაზოში, სილამაზის 10 სალონი მუშაობს. ძლიერი გვალვების გამო, წყლის მოხმარებაზე შეზღუდვები ქვეყნის მასშტაბით, ყველა რეგიონსა და ქალაქში შემოიღეს. მაგალითად, მილანში შადრევნებიც კი გათიშეს.

ვენა – საუკეთესო ქალაქი საცხოვრებლად

მსოფლიოს მასშტაბით, საცხოვრებლად საუკეთესო ქალაქად, ავსტრიის დედაქალაქი ვენა უკვე მესამედ (2018 და 2019 წლების შემდეგ) დაასახელეს. ასეთი მომხიბვლელი ვენა სტაბილური პირობების, კარგი ინფრასტრუქტურისა და ჯანდაცვის, ასევე, კულტურისა და დასვენების სფეროში უამრავი შესაძლებლობის გამო ხდება. ბრიტანული ჟურნალის - The Economist-ის შედგენილი რეიტინგის მეორე ადგილზეა დანიის დედაქალაქი კოპენჰაგენი, მესამეზე - შვეიცარიული ციურიხი. ერთ დროს მოწინავე პოზიციებზე მყოფი რუსეთის დედაქალაქი 15 ადგილით ჩამოქვეითდა, მიზეზი ის მრავალრიცხოვანი საერთაშორისო სანქციებია, რომელიც ამ ქვეყანას უკრაინაში შეჭრის გამო დაუწესეს. ჩამონათვალის ბოლო ადგილებზეა ლიბიის დედაქალაქი ტრიპოლი, ნიგერიის - ლაგოსი და სირიის - დამასკო. სულ, რეიტინგში, მსოფლიოს 173 ქვეყანა მოხვდა.

მოდის კოლექცია მწვანილითა და ხავსით

ცოტა ხნის წინ, პარიზში გამართულ მოდის კვირეულზე, გაზაფხული-ზაფხულის 2023 წლის მამაკაცის ახალი, უჩვეულო კოლექცია წარადგინა ესპანური მოდის სახლმა – Loewe-მ. პოდიუმზე ნაჩვენები ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და აქსესუარები დაფარული იყო მიკრომწვანილითა და ხავსით. ის ბრენდის კრეატიული დირექტორის, ჯონათან ანდერსენის თხოვნით, დიზაინერმა პაულა ულარგიმ მოიყვანა. პაულა ძირითადად ასეთ დიზაინზე – ცოცხალი ბუნების ელემენტებით გაწყობილი ტანსაცმლის შექმნაზეა სპეციალიზებული. კერძოდ, მას მიკრომწვანილი და ხავსი უშუალოდ ქსოვილზე მოჰყავს.

შეცდომით ჩარიცხული დიდი ხელფასით გაუჩინარდა

ჩილელმა მამაკაცმა, რომელსაც შეცდომით ხელფასზე 286-ჯერ მეტი თანხა ჩაერიცხა, სამსახური მიატოვა და გაუჩინარდა. ხორცის კომპანია Cial-ის თანამშრომელს, 500 ათასი პესოს (542 დოლარი) ნაცვლად, 165 მილიონზე მეტი (დაახლოებით, 180 ათასი დოლარი) ხელფასი გადაურიცხეს. თანამშრომელმა ამ შეცდომის შესახებ კომპანიის ხელმძღვანელობას აცნობა, რომელთაც ფულის დაბრუნება სთხოვეს. მამაკაცმა განუცხადა, რომ მეორე დღეს ბანკში მივიდიდა და თანხას დააბრუნებდა, თუმცა ამის შემდეგ, ის არც სამსახურში და არც ბანკში აღარ უნახავთ. მოგვიანებით, ჩილელმა სამსახურის დატოვების შესახებ კომპანიას დისტანციურად აცნობა და სატელეფონო ზარებს აღარ პასუხობდა. მისი ადგილსამყოფელი ამ დროისთვის უცნობია. კომპანიის ხელმძღვანელობა აპირებს, თანხის მითვისების გამო, ყოფილ თანამშრომელს სასამართლოში უჩივლოს.

კორონავირუსი კატისგან გადაედო

ტაილანდში, შინაური კატიდან ადამიანზე კორონავირუსის გადადების ფაქტი დაფიქსირდა, რაც პირველი შემთხვევაა მსოფლიოში. აქამდე მიიჩნეოდა, რომ მართალია, კატები ავადდებიან კორონავირუსით, მაგრამ არ აინფიცირებდნენ ადამიანს. როგორც გაირკვა, ეს უნიკალური შემთხვევა გასულ წელს მოხდა. მამა-შვილს, რომელთაც ვირუსი დაუდგინდათ, კლინიკაში გადაიყვანეს, მათი კატა კი ვეტკლინიკაში გამოკვლევაზე წიყვანეს. ნაცხის აღებისას, ცხოველმა ვეტერინარზე დააცემინა, მისი ტესტი კი დადებითი აღმოჩნდა.

ერთი კვირის შემდეგ, კორონავირუსის სიმპტომები გამოუვლინდა ვეტერინარს, რომელსაც მანამდე არ ჰქონია კონტაქტი შინაური ცხოველების დაინფიცირებულ პატრონებთან, არც მის ოჯახში იყო ვინმე ავად. გენომის სეკვენირებამ დაადასტურა, რომ კატა, მისი პატრონები და ვეტერინარი ვირუსის ერთი და იგივე შტამით იყვნენ ავად. ექსპერტები იმასაც აღნიშნავენ, რომ მსოფლიოს მასშტაბით, ეს ერთადერთი ცნობილი შემთხვევა არ იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ კორონავირუსიანი შინაური ცხოველებიდან ადამიანები აუცილებლად დაინფიცირდებიან.

ერთი ცალი ბალი 300 დოლარად გაიყიდა

ეს ფაქტი, რასაკვირველია, ამომავალი მზის ქვეყანაში მოხდა. აომორის პრეფექტურაში მოყვანილი იშვიათი ჯიშის – Aomori Heartbeat ბალი რეკორდულ ფასად გაიყიდა. აუქციონზე გამართულ პირველ ვაჭრობაზე, ერთ ყუთში მოთავსებულ 15 ცალ ბალში, მყიდველმა 4.4 ათასი დოლარი გადაიხადა ანუ ერთი ცალი ნაყოფი მას 296 დოლარი დაუჯდა. აღსანიშნავია, რომ ეს თანხა 25%-ით მეტია გასული წლის ფასზე. აუქციონზე, სულ ხილის 11 ასეთი ყუთი გაიყიდა. აომორის პრეფექტურის მწარმოებლებმა ბაზარზე მათი გამოყვანილი ბლის ჯიშის აქტიურად წარდგინება სამი წლის წინ დაიწყეს. Aomori Heartbeat გამოირჩევა ნაყოფის ზომით (2-2.5 სმ. დიამეტრით), კაშკაშა წითელი ფერით, სიპრიალითა და გემოს გაჯერებული ბალანსით.

სტადიონს მტრედებისგან შევარდენები დაიცავენ

ფრანგული „პარი სენ-ჟერმენის“ ხელმძღვანელობამ, „პარკ დე პრენსის“ სტადიონზე ახლადდათესილი გაზონის დასაცავად, ორიგინალური გადაწყვეტილება მიიღო. როგორც ჟურნალისტი ნიკოლა ორტიუსი წერს, გასულ კვირას, აგრონომებმა მოედანზე ახალი გაზონისთვის ბალახი დათესეს. მტრედებმა რომ თესლი არ ამოკენკონ, დედაქალაქის სახელოვანმა კლუბმა დასახმარებლად კომპანიას მიმართა, რომელიც შევარდენებით ნადირობითაა დაკავებული. ბალახის დასაცავად, გუნდმა მათგან ოთხი შევარდენი და ერთი არწივი დაიქირავა. „პარი სენ-ჟერმენის“ საშინაო სტადიონი 1897 წელს აშენდა, ხოლო რეკონსტრუქცია 1972 წელს ჩაუტარდა. მისი არენა 48 ათასამდე მაყურებელს იტევს.

ულამაზესები – პლასტიკური ქირურგებისგან

მსოფლიოში ყველაზე ლამაზი ქალი ლონდონის კოსმეტიკური და პლასტიკური ქირურგიის ცენტრის სპეციალისტებმა დაასახელეს. იდეალური სახის მქონე ადამიანი რომ გამოევლინათ, დოქტორმა, ჟულიან დე სილვამ „ოქროს კვეთის“ წესები გამოიყენა. მიღებული შედეგების მიხედვით, მსოფლიოში ყველაზე ლამაზ ქალად ამერიკელი მსახიობი, ემბერ ჰერდი დასახელდა. ექსპერტების თქმით, ჯონი დეპის ყოფილ ცოლს სახის იდეალური პროპორციები აქვს, მათ შორის, თვალები, ცხვირი, ტუჩები და ნიკაპი. დე სილვას თქმით, იდეალური წარბები აღმოაჩნდა კიმ კარდაშიანს, იდეალური თვალებით გამოირჩევა სკარლეტ იოჰანსონი, ხოლო მოდელ ემილი რატაკოვსკის იდეალური ტუჩები აქვს. ყველაზე ლამაზების ტოპ-ათეულში მოხვდნენ ქეით მოსი, კენდალ ჯენერი, ჰელენ მირენი, სელენა გომესი, მერილინ მონრო, ჯენიფერ ლოურენსი.

წყურვილის გარეშე, წყლის დალევა საზიანოა

თურქი სწავლულები აცხადებენ, რომ დიდი რაოდენობით წყლის მიღება, რასაც ბევრი სპეციალისტი თავგამოდებით გვირჩევს, სინამდვილეში, ვნებს ორგანიზმს. ნეფროლოგების თქმით, სითხე რეცხავს და გამოდევნის ნორმალური ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ელემენტებს. კერძოდ, გამოიდევნება ნატრიუმი, რომელიც ადამიანის სისხლში, ნორმაში 135-145 მლ/მოლს უნდა შეადგენდეს ლიტრზე. თურქი ექსპერტების თქმით, ნატრიუმის უკმარისობის დროს, შესაძლოა, ადამიანი წყლით მოიწამლოს. ნატრიუმის შევსებას ზოგი მარილის დიდი რაოდენობით მიღებით ურჩევს, თუმცა გულითა და თირკმელებით დაავადებულ ადამიანებს ამით გამოუსწორებელი ზიანი მიადგებათ. არც ის მოსაზრებაა სწორი, თითქოს, დიდი რაოდენობით წყლის მიღება წონის დაკლებას უწყობს ხელს, – აღნიშნავენ სპეციალისტები.

ყველაზე ძვირფასი ნიშნობის ბეჭედი მერაიას აქვს

მერაია ქერის ნიშნობის ბეჭედი, შოუ-ბიზნესის ისტორიაში, ყველაზე ძვირადღირებულ საიუველირო ქმნილებად დასახელდა. მომღერალს ბეჭედი ყოფილმა საქმრომ, ავსტრალიელმა მილიარდერმა ჯეიმს პაკერმა აჩუქა. 35-კარატიანი ბრილიანტისთვლიანი სამკაული პაკერს 10 მილიონი დოლარი დაუჯდა. წყვილმა ერთმანეთი 2015 წელს გაიცნო და მათი ურთიერთობა სწრაფად განვითარდა. ისინი დაქორწინებას აპირებდნენ, თუმცა საქმე აქამდე არ მისულა. პაკერი და ქერი ერთმანეთს 2016 წელს დაშორდნენ, ნიშნობის ბეჭედი კი, გრძნობების სამახსოვროდ, მერაიამ დაიტოვა. მომღერლის ერთ-ერთი ბიზნეს-მენეჯერის თქმით, მოგვიანებით, 2018 წელს, ქერიმ ის 2.1 მილიონ დოლარად მიჰყიდა იუველირს.

შვილებს აპოკალიფსისთვის ამზადებს

დიდ ბრიტანეთში, მარტოხელა დედამ გადაწყვიტა, შვილებს დამოუკიდებელი ცხოვრება ასწავლოს. მან მთელი ქონება გაყიდა და სახლი ბორბლებზე შეიძინა, სადაც არც შხაპია, არც აბაზანა და არც გათბობა. ქალის აზრით, მისმა შვილებმა აპოკალიფსის შემთხვევაში, გადარჩენა უნდა შეძლონ. არასრულწლოვანებს დედამ პნევმატური იარაღიდან სროლა, თავდაცვის უნარ-ჩვევები და საკვების მოპოვება ასწავლა. რამდენიმე წლის განმავლობაში, ისინი კვირაში ერთხელ ბანაობდნენ ბაბუას სახლში. ცოტა ხნის წინ, ოჯახი საცხოვრებლად სახლში დაბრუნდა. ქალმა გადარჩენის კურსების წაყვანა დაიწყო, რადგან აღმოჩნდა, რომ ამ ტიპის კურსებზე დიდი მოთხოვნაა. ბრიტანელი ქალბატონი ოცნებობს, კვლავ გათიშოს ინტერნეტი და საცხოვრებლად საფრანგეთში, ისევ ბორბლებზე სახლში გადავიდეს.

ჭარბ წონას წამალი უშველის

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ბოლო 50 წლის განმავლობაში, ჭარბწონიანი მოსახლეობის რაოდენობა სამჯერ გაიზარდა. წლების განმავლობაში, არაერთი წამალი შეიქმნა, რომელიც ნერვულ სისტემაზე ზეგავლენის გზით, აქვეითებს მადას და წონის კლებას უწყობს ხელს. თუმცა, თითქმის ყველა მათგანი აიკრძალა, რადგან მნიშვნელოვანი გვერდითი მოვლენებით ხასიათდება. ცოტა ხნის წინ, ცნობილი გახდა ავსტრალიელი სწავლულების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები. ისინი იკვლევდნენ პრეპარატს, რომლის მიზანიც წონის კლებაა, ოღონდ ისე, რომ მადის დაქვეითება ნერვულ სისტემაზე ზაგავლენით არ მოხდეს. ახალი წამალი ნერვის სასიგნალო მოლეკულაზე (ნეიროპეპტიდ Y-ზე) ზემოქმედებს. სწორედ ამ მოლეკულის დახმარებით აქვს უნარი ცოცხალ არსებას, გაუმკლავდეს საკვების დეფიციტს. მედიკამენტი ნეიროპეპტიდის რეცეპტორებს თრგუნავს. შედეგად, ცხიმი, რომელიც ორგანიზმს მარაგის სახით აქვს შენახული იწვება, რაც წონის კლებას უწყობს ხელს. მღრღნელებზე ჩატარებული ცდებით, პრეპარატი არ მოქმედებს ნერვულ სისტემაზე, არ იწვევს განწყობის ცვლილებას და 40%-ით ამცირებს წონას. გარდა ამისა, უმჯობესდება გლუკოზის მეტაბოლიზმი, ხელს უწყობს ძვლის უჯრედების ზრდას და სიმკვრივეს. ავსტრალიელთა ცდების შედეგები დამაიმედებელია, ამიტომ კვლევები გრძელდება.

ტატუ – ახალი ფეხსაცმლის ნაცვლად

ტატუს ოსტატმა დინ ჰანტერმა, რომელიც სამხრეთ ამერიკიდან დიდ ბრიტანეთში გადაბარგდა, მამაკაცს ფეხებზე, ბოტასების სახით, ტატუ გაუკეთა. ოსტატის თქმით, მისი კლიენტი შეწუხებული იყო ახალ-ახალი ფეხსაცმლის ყიდვით, ამიტომაც გადაწყვიტა, ფეხებზე მისი საყვარელი სპორტული ფეხსაცმლის, Nike-ის დიზაინი ტატუს სახით გაეკეთებინა. ამ სამუშაოს შესასრულებლად, ჰანტერს დაახლოებით 10 საათი დასჭირდა.

„მინდოდა იმის ილუზია შემექმნა, რომ ადამიანს ფეხზე აცვია მაშინაც კი, როცა ის ფეხშიშველია. ეს ნამდვილად მიიქცევს ყველას ყურადღებას“, – ამბობს ოსტატი.

ტვინს შაქარზე უარს ათქმევინებენ

კოლუმბიის უნივერსიტეტის სწავლულებმა, ჭარბ წონასთან საბრძოლველად ახალი მეთოდი შეიმუშავეს. სპეციალისტებმა ნეირონების დონეზე ადამიანის დაპროგრამება შეძლეს და მას შაქარი შეაზიზღეს. მკვლევარებმა თავის ტვინის ორი უბანი განსაზღვრეს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან გემოს აღქმაზე – ნუშურა სხეული და კუნძულოვანი ნაწილი. როგორც წესი, ადამიანი ტკბილთან სასიამოვნო ემოციებს აიგივებს, მწარესთან კი – პირიქით. მკვლევარებმა, ტვინის სფეროზე ზემოქმედებით, შეძლეს ამ აღქმის შეცვლა. მაგალითად, შეიძლება ისე მოხდეს, რომ ყველაფერი ტკბილი ადამიანის ორგანიზმმა ნეგატიურად აღიქვას. ახალი ტექნოლოგია სპეციალისტებმა მღრღნელებზე გამოსცადეს და წარმატებას მიაღწიეს.

ქორწილის სტუმრებს სასმელს მიჰყიდიან

საიდუმლო არავისთვისაა, რომ ქორწილის გადახდა ძვირი სიამოვნებაა. გონებამახვილი წყვილები კი ყოველთვის ეძებენ გამოსავალს, ცოტა ეკონომია გააკეთონ და თანხა დაზოგონ. ასე მოიქცა ბრიტანელი წყვილიც – მათ ქორწილისთვის განსაზღვრული თანხის „ამოღების“ გზა გამონახეს. სიძე-პატარძლის გადაწყვეტილებით, ვერც ერთი სტუმარი უფასო ბარით ვერ ისარგებლებს, თუკი მათი თაფლობის თვის ან ახალი სახლისთვის შექმნილ ანგარიშზე თანხას არ ჩარიცხავენ. როგორც ბრიტანული „მირორი“ წერს, ვინც სასმელის ულიმიტოდ მირთმევას მოინდომებს, ვალდებული იქნება, 12 გირვანქა სტერლინგი (8 – ანგარიშზე და 4 – ბარმენისთვის) გადაიხადოს. ამ გადაწყვეტილების შესახებ მომავალმა პატარძალმა სოციალურ ქსელში დაწერა, რასაც არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა.

ადამიანის დნმ-ის რედაქტირება დაიწყეს

ჩინეთში, აქტიურად შეუდგნენ ადამიანის გენომის რედაქტირებაზე მუშაობას. სწავლულებს სჯერათ, რომ ეს დაეხმარება კაცობრიობას, თავი დააღწიოს საშიშ დაავადებებს. აღსანიშნავია, რომ მეცნიერების ამ სფეროში ჩინელები გაცილებით წინ წავიდნენ, ვიდრე სხვა ქვეყნები. ამას ქვეყნის ლოიალური კანონმდებლობაც უწყობს ხელს. სხვაგან ადამიანის გენომის შეცვლაზე ექსპერიმენტები არ არის ნებადართული. ჩინელები ექსპერიმენტებს მოხალისეებზე ატარებენ, რომლებიც ცდებში მონაწილეობას დათანხმდნენ. ამის წყალობით, ჩინეთი ამ სფეროში მსოფლიო ლიდერია. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ დნმ-ის რედაქტირების (საწყის მდგომარეობაში დაბრუნება) გზით, შესაძლებელია არა მხოლოდ სიმსივნისგან თავის დაღწევა, არამედ, ყველა იმ საშიში დაავადების თავიდან აცილებაც, რომლებიც ძალიან ხშირად, ლეტალური შედეგით სრულდება.

ყველაზე ღრმად ჩაძირული გემი იპოვეს



ფილიპინების ზღვაში, მსოფლიოში ყველაზე ღრმად ჩაძირული გემი აღმოაჩინეს. ეს ამერიკული გამანადგურებელია – Samuel B. Roberts (DE-413). გემი, რომელიც ზღვის ფსკერზე მეორე მსოფლიო ომის დროს აღმოჩნდა, თითქმის შვიდი კილომეტრის სიღრმეზე "განისვენებს". გამანადგურებელი ლეიტის ყურეში 1944 წლის ოქტომბერში ჩაიძირა – იაპონელებმა მას სამი ჭურვი ესროლეს. გემზე მყოფებიდან, 90 ადამიანი დაიღუპა, 120 კი გადარჩა. ხომალდი მკვლევარმა და მილიარდერმა, ვიკტორ ვესკოვომ აღმოაჩინა, რომელმაც წყალქვეშა აპარატი ჩაუშვა გემის ნამსხვრევების სანახავად. ისინი 6 895 მეტრის სიღრმეზეა – ეს ყველაზე ღრმა ადგილია, სადაც კი ჩაძირული გემები უნახავთ, – განაცხადა ვესკოვომ.

რესტორანი ინტროვერტებისთვის

ნიუ-იორკში, კიდევ ერთი უნიკალური იაპონური რესტორანი გაიხსნა ინტროვერტებისთვის, რომელსაც Ichiran Ramen ჰქვია. ბრუკლინში მდებარე დაწესებულების მფლობელები აღნიშნავენ, რომ მხოლოდ მათთანაა შესაძლებელი, ბოლომდე შეიგრძნოთ კერძის გემო და ისიამოვნოთ მისით. „ეს რესტორანი სადილობის ჩვეულებრივი ამერიკული მეთოდის საპირისპიროა, რადგან ხშირად, ვიღაცასთან ერთად მივირთმევთ და დიდად არ ვამახვილებთ ყურადღებას საჭმელზე. ჩვენთან კი ყველაფერი პირიქითაა“, – ამბობენ რესტორნის თანამშრომლები. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ კლიენტებს დაწესებულების პერსონალთანაც კი არ აქვთ ურთიერთობა. კერძების შეკვეთა და თანხის გადახდა რესტორანში შესვლისას, ავტომატის საშუალებითაა შესაძლებელი.

საცურაო კოსტიუმი ნაგვისგან



დიზაინრებმა „მწვანე კონტინენტიდან“, განსაკუთრებული „კუპალნიკები“ შექმნეს, რისთვისაც გადამუშავებული ნაგავი გამოიყენეს. კერძოდ, საცურაო კოსტიუმების ახალი ხაზი გადამუშავებული პლასტმასის, მეთევზეების ბადეებისა და სხვა ნარჩენებისგან დაამზადეს. ავტორების თქმით, ნაგავი სხვადასხვა სანაპიროზე, პლაჟებზე შეაგროვეს – იქ, სადაც მოგვიანებით, მოდის მიმდევრები ახალი საცურაო კოსტიუმებით მოიწონებენ თავს. დიზაინერები ამ ფაქტს მოდის ინდუსტრიაში გადადგმულ დიდ ნაბიჯს უწოდებენ და იმასაც აღნიშნავენ, რომ გადამუშავებული ნარჩენებისგან შექმნილი ნივთები ადამიანებს ეკოლოგიასა და პლანეტის გადარჩენეზე დააფიქრებს. საცურაო კოსტიუმების შეძენის მსურვლებს მისი ავტორები არწმუნებენ, რომ ის აბსოლუტურად ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხოა. სიახლის ფასი 60 დოლარიდან იწყება.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.